სარჯიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 31 იანვარი 2001 №14 (1287) | ფასი 50 თეთრი

ჰოლიცია, რეზო არველაძე და მეგობრები დინამოსთვის დამეგობრდნენ

ფაქტობრივად გადაწყვეტილი საქმეა — საქართველოს ათგზის ჩემპიონ თბილისის „დინამოს“ ერთი ძველი და ერთიც ახალი პატრონი ეყოლება. იურიდიულად ყველაფერი უახლოეს დღეებში, შესაძლოა ამ კვირაშივე გაფორმდეს.

საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ დამფუძნებლები „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო და გუნდის ამჟამინდელი მწვრთნელი რევაზ არველაძე და მისი მეგობრები იქნებიან. მათ შეამხანაგებას მხარს უჭერს ფეხბურთის ფედერაცია.

როგორც შევიტყვეთ, გუშინ დილით რევაზ არველაძე და „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, შს მინისტრი კახა თარგამაძე ერთმანეთს შეხვედრიან და „დინამოს“ მომავალზეც დაწვრილებით უსაუბრიათ. გადასაწყვეტი ახლა ისაა, წილის ვის რამდენი პროცენტი ერგება, თუმც ისიც გვითხრეს, ორი დამფუძნებელი ამაზე სიტყვიერად უკვე შეთანხმდაო.

„მრეტების“ ვალის გადახდამდე კი „დინამოს“ 11 დღე დარჩა. შეგახსენებთ, 11 თებერვლამდე „დინამომ“ 240 ათასი დოლარი უნდა გადაიხადოს, პლუს 5 ათასი შვეიცარიული ფრანკი ფიფას უპატივცემულობისთვის. თუ არა, „დინამოს“ ფეხბურთს ჩამოაშორებენ.

ძოგბა ინასარიძე

ჩვენთვის წართმეული შინ მოპარეს

რუმინელებს თბილისში მოპოვებული ევროპის ერთა თასი ცხვირწინ ააცალეს

გუშინ კახა კალაძემ პირველად ივარჯიშა მილანში

გუშინ კახა კალაძე და ანდრეი შევჩენკო მილანელოს საწვრთნელ ბაზაზე ერთად მივიდნენ

თბილისში კი მისი ტრანსფერის გამო დიდი დავა-კამათია: ეკუთვნის თბილისის «დინამოს» მილანური ფულის ნახევარი?

ვაჟა ჟვანია: თბილისის „დინამოს“ კალაძის ტრანსფერიდან 4,5 მილიონი დოლარი ეკუთვნის 50 პროცენტის სახით.

ერთი საინტერესო ამბავი გაახმაურა ვაჟა ჟვანიამ, რომელიც ჯერაც თბილისის „დინამოს“ გენერალურ მდივნად თვლის თავს. მან გამოამზეურა იმ კონტრაქტის ასლი, რომლის მეოთხე გვერდზეც მაშინდელი თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიასა და მისი კიეველი კოლეგის გრიგორი სურკისის ხელმოწერაა. კონტრაქტი 1998 წლის 17 იანვრითაა დათარიღებული და კახა კალაძის თბილისის „დინამოდან“ კიევისაში გადასვლისაა გაფორმებული.

კახა კალაძის მილანურ ტრანსფერთან დაკავშირებული ვაჟა ჟვანიასა და მერაბ ჟორდანიას მოსაზრებები, კომენტარები და სადავო კონტრაქტის ფინანსური მუხლები იხილეთ მეორე გვერდზე

მერაბ ჟორდანია: ვაჟა ჟვანიას ხელი არსებულ ფურცლებს იურიდიული ძალა არა აქვს. არსებობს სხვა კონტრაქტი.

რას ამტკიცებს ვაჟა ჟვანია, რას უარყოფს მერაბ ჟორდანია

დასაწყისი პირველ გვერდზე

როგორც ვაჟა ჟვანია ამბობს, ეს ასლი მან „აგრომრეწვბანკში“ მიიღო და აქამდე სათუთად ინახავდა.

კონტრაქტში რამდენიმე საინტერესო პუნქტია და მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, ის გახლავთ, სადაც მხარეთა ფინანსურ ვალდებულებებზე წერია. აქვე ამ რამდენიმე პუნქტის გადმოქართულებულ ვარიანტსაც გთავაზობთ.

და რაკი, კიევის „დინამოდან“ კახა კალაძის „მილანში“ ტრანსფერის შემდეგ გასარკვევი ბევრი რამაა, თანაც ჟვანიამ კონტრაქტის ასლი გაგვაცნო, ბუნებრივია, კომენტარი ვთხოვეთ თავად ჟვანიასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ამჟამინდელ და კალაძის უკრაინაში გადასვლისას თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას.



ვაჟა ჟვანია

— „დინამომ“ „აგრომრეწვბანკისგან“ ესენგეს თასზე გასამგზავრებლად 50 ათასი ლარი ისესხა, ეს თანხა შემდეგ გადაუხდელი დარჩა და სასამართლომ მიიღო დადგენილება, რომ პროცენტების დანამატით კლუბს „აგრომრეწვბანკისთვის“ ჯამში 38 532 დოლარი უნდა გადაეხადა. როგორც „დინამოს“ წარმომადგენელი ბანკის სასარგებლოდ პროცენტებს მე ვიხდიდი, ჯამში 7000 დოლარი გადავუხადე „აგრომრეწვბანკს“. ბუნებრივია, დავინტერესდი, რა იყო ბანკში ჩადებული საგარანტიოდ. მითხრეს, ხელშეკრულება ურთიერთნდობის საფუძველზეა გაფორმებულიო. დავეჭვდი და ვუთხარი, მაშინ მენდეთ და მეც მომეცით 50 ათასი ლარი-მეთქი. უარი მითხრეს და ბოლოს და ბოლოს გამომიჩინეს გირაოში ჩადებული კიევის და თბილისის „დინამოებს“ შორის დადებული კონტრაქტი.

ოთხგვერდიანი კონტრაქტი დედნის ასლს წარმოადგენდა. ბანკშივე მაჩვენეს მერაბ ჟორდანიას ხელმოწერით დამოწმებული წერილი, რომ 50 ათასი ლარის სანაცვლოდ აგირავებდა ამ კონტრაქტს, რომლის თანახმად, კიევის „დინამომ“ ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი დღის შემდეგ 300 000 დოლარი გადაურიცხა თბილისის „დინამოს“, შემდეგ კი უკრაინელები კონტრაქტის 2.2.1. პუნქტის თანახმად, 100 და 150 ათასი დოლარის გადახდასაც კისრულობდნენ, ეს თანხაც დაუბრკოლებლივ მიიღო ჟორდანიამ. ყველაზე უმთავრესი კი ის არის, რომ კონტრაქტის 2.5. პუნქტით უკრაინელები ვალდებულნი არიან, კალაძის გაყიდვის შემთხვევაში სატრანსფერო თანხის ნახევარი (ფეხბურთელზე დახარჯული თანხის გამოკლებით) თბილისის „დინამოს“ გადაუხადონ. ასე რომ, „დინამოს“ 50 პროცენტი ნამდვილად ეკუთვნის.

2000 წლის 8 მარტს „დინამოს“ გენერალური დირექტორი გავხდი. 11 მარტს დავიხსენი „აგრომრეწვბანკიდან“ ეს კონტრაქტი. 12 მარტს კი მასმედიის საშუალებით განვაცხადე, რომ „დინამოს“ უკრაინელი სეხნიისგან კალაძის გაყიდვის შემთხვევაში 50 პროცენტი ეკუთვნოდა. ისიც აღვნიშნე, რომ არსებობდა საშიშროება, ჟორდანიას და სურკისს აღნიშნული კონტრაქტის ძირითადი პუნქტები ანგარების მიზნით მიეჩქმალათ. ასეც მოხდა. დღეს არსებობს მეორე, ყალბი კონტრაქტიც, რომელიც შსს საგამოძიებო საბუთებში დევს. ეს კონტრაქტი შსს საგამომძიებლო დეპარტამენტის განყოფილების უფროსმა ზაზა ყულოშვილმა მერაბ რატიანის დაპატიმრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ თავად ჩამოიტანა კიევიდან. შემდეგ მეც დამიძახეს შსს-ში დასაკითხად და ის კონტრაქტი მაჩვენეს. ეს ყალბი საბუთი ჩემს ხელთ არსებული დოკუმენტების ზუსტი ასლია სამი პუნქტის გამოკლებით. საგამოძიებო საბუთებში არსებული კონტრაქტიდან ამოღებულია 2.2.1. პუნქტის ის პარაგრაფები, 100 და 150 ათასი დოლარის მიღებას რომ ეხება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უმთავრესი — 50 პროცენტიანი პუნქტი. ყალბისმქმნელები ერთ რამეში შეცდნენ, ყულოშვილის ჩამოტანილი კონტრაქტიც 1998 წლის 17 იანვრითაა დათარიღებული, მაშასადამე, პირველის დუბლიკატია, ესე იგი, ყალბი.

რაც შეეხება იმას, რომ ჩემს ხელთ არსებულ კონტრაქტს მხოლოდ სურკისის და ჟორდანიას ხელმოწერები აქვს და საკლუბო ბეჭდები არა, გეტყვით, რომ საქართველოს კანონმდებლობით მეწარმეთა შესახებ 1997 წლის პირველ ოქტომბრამდე „დინამოს“ უნდა გაევლო ხელახალი რეგისტრაცია, რაც არ გაკეთებულა, ასევე არ მოხერხდა კლუბის ახალი რეგისტრაციაც. ბუნებრივია, „დინამოს“ ძველი ბეჭედიც უვარგისი იყო. ამის გამო სურკისმაც არ დაარტყა ბეჭედი კონტრაქტს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი იურიდიულად სრულყოფილი არ არის. ყულოშვილის მიერ ჩამოტანილი კონტრაქტიც არ არის ბეჭდებით დამოწმებული, მაგრამ საქმეში დოკუმენტად აქვთ ჩადებული.

ჩემთვის ცნობილია კალაძის „მილანში“ გადასვლის სატრანსფერო თანხა, მაგრამ მერაბ ჟორდანიას მანიპულირების საშუალებას არ მივცემ და თანხის ზუსტ რაოდენობას არ დავასახელებ, ერთს კი ვიტყვი, თბილისის „დინამოს“ კალაძის ტრანსფერიდან 2.5. პუნქტში აღნიშნული ხარჯების გამოკლებით 4,5 მილიონი დოლარი ეკუთვნის 50 პროცენტის სახით.

მერაბ ჟორდანია

— ამ ფურცლებს იურიდიული ძალა არა აქვს — გვითხრა ჟვანიას მიერ ჩვენთვის მოცემული კონტრაქტის ასლზე მერაბ ჟორდანიამ — ჩემი და კიევის „დინამოს“ მაშინდელი პრეზიდენტის გრიგორი სურკისის ხელმოწერა მხოლოდ მეოთხე გვერდზეა და არც ბეჭდით არის დამოწმებული. თქვენ ალბათ იცით, რამდენგვერდიანიც კონტრაქტი, იმდენ გვერდზე უნდა იყოს ორივე მხარის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერა ბეჭდითურთ. არსებობს თბილისისა და კიევის „დინამოს“ შორის გაფორმებული კონტრაქტის დედანი, რომელსაც აქვს კიდეც იურიდიული ძალა და ჟვანიას ასლსა და იმ კონტრაქტის რამდენიმე პუნქტს შორის საკმაო სხვაობაა. ზოგი რამ, რაც აქ წერია, იქ საერთოდ არ არის. მეტს ვერაფერს დავაკონკრეტებ და ვინც თბილისის „დინამოს“ ლეგიტიმური ხელმძღვანელი იქნება, ყველაფერს მას ვეტყვი.

ჩვენ გუშინვე დავუკავშირდით შსს საგამოძიებო დეპარტამენტის განყოფილების უფროსს ზაზა ყულოშვილს, რომელიც „დინამოს“ სატრანსფერო საქმიანობას იძიებს. მოუცლელობის გამო, დღეს ვერა, ხვალ ვისაუბროთო, გვითხრა ბატონმა ზაზამ. თითქმის იგივე გაგვიმეორა კოტე ლაშხმა, რომელიც იმხანად „აგრომრეწვბანკის“ აღმასრულებელ დირექტორად მუშაობდა და ამ კონტრაქტთან აღმოჩნდა დაკავშირებული.

პაატა კვანტალიანი
კობა ინასარიძე

2.2. Клуб имеет право:

2.2.1. Принимать оплату за трансфер футболиста по следующей схеме:

— 300 000 дол. США в течение 3 дней с момента получения Фирмой трансферного сертификата от Федерации футбола Грузии;

— 100 000 дол. США в течение 10 дней в случае выхода ФК “Динамо” Киев в ½ финала Лиги чемпионов УЕФА 1997/98;

— 100 000 дол. США в течение 10 дней в случае выхода ФК “Динамо” Киев в групповой турнир Лиги чемпионов УЕФА 1998/99;

— 150 000 дол. США в течение 10 дней в случае выхода ФК “Динамо” Киев в 1/4 финала Лиги чемпионов УЕФА 1998/99.

2.5. В случае трансфера футболиста Каладзе Каха в третий клуб, распределение трансферной суммы производится за вычетом всех расходов Фирмы по трансферу футболиста, а также его содержанию (квартира, ремонт, мебель и др., машина, зарплата, премия) в следующем порядке:

— 50 % в пользу Клуба;

— 50 % в пользу Фирмы.

2.2. კლუბს აქვს უფლება:

2.2.1. მიიღოს თანხა ფეხბურთელის ტრანსფერისთვის შემდეგი სქემით:

— 300 000 ამერიკული დოლარი იმ მომენტიდან 3 დღის განმავლობაში, როცა ფირმა მიიღებს სატრანსფერო სერტიფიკატს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან;

— 100 000 ამერიკული დოლარი 10 დღის განმავლობაში იმ შემთხვევაში, თუ საფეხბურთო კლუბი „დინამო“ კიევი გავიდა 1997-98 წლების უეფას ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში;

— 100 000 ამერიკული დოლარი 10 დღის განმავლობაში იმ შემთხვევაში, თუ საფეხბურთო კლუბი „დინამო“ კიევი გავიდა 1998-99 წლების უეფას ჩემპიონთა, ლიგის ჯგუფურ ტურნირში;

— 150 000 ამერიკული დოლარი 10 დღის განმავლობაში იმ შემთხვევაში, თუ საფეხბურთო კლუბი „დინამო“ კიევი გავიდა უეფას ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში;

2.3. ფირმა ვალდებულია:

2.5. ფეხბურთელ კახა კალაძის მესამე კლუბში ტრანსფერის შემთხვევაში სატრანსფერო თანხის განაწილება მოხდება ფეხბურთელის ტრანსფერისთვის და მის შესანახად (ბინა, რემონტი, ავეჯი და სხვა, მანქანა, ხელფასი, პრემია) ფირმის მიერ გაწეული ხარჯების გამოქვითვით და შემდეგნაირად:

— 50% კლუბის სასარგებლოდ;

— 50% ფირმის სასარგებლოდ.

ФИРМА	КЛУБ
АО “ФК “Динамо” Киев	ФК “Динамо” Тбилиси
Республика Украина, Киев-, ул.Грушевского	Республика Грузия Тбилиси, Дигомский массив 3-й квартал
ЗА ФИРМУ	За Клуб
Суркис Г.	Жордания М.

ინგლისი

XXV ტური

არსენალი 2:0ბრედფორდი

1:0 პარლოუ (17), 2:0 ლორენი (26)

ჩარლტონი 2:1 დერბი ქაუნთი

1:0 სვენსონი (8), 1:1 ბარლი (35), 2:1 პარკერი (67)

II დივიზიონი

პიტერბრო — ოქსფორდი 4:2

II დივიზიონი

იორკი — კარლაილი 0:0; პლიმუთი — კიდერმინსტერი 4:0

საბერძნეთი

თასის მეოთხედფინალი. II მატჩი

აიგალეო (II) 1:1 აპოლონი (II) (0:0)

ესპანეთი

თასის მეოთხედფინალი. I მატჩი

ესპანიოლი 1:2 ბარსელონა

0:1 რივალდო (12), 0:2 არგენსი (41ს.კ.), 1:2 ტამუდო (57)

საფრანგეთი

ლიგის თასის მეოთხედფინალი

სენტ ეტიენი 2:0 ოსერი

ვალანსი (II) 1:1დ.დ. (პენ.2:4, 0:0) ნანტი

შოტლანდია

XXVI ტური

კილმარნოკი 1:1 ჰიბერნიანი

1:0 ჰეი (68), 1:1 უ. ლაურსენი (88)

არხილ, არხილ!

აბა, კობას ვინ დაიჭერს...

ბუნდესლიგა განახლდა და ქართველებმაც დაიწყეს. დაახლოებით თვენახევრიანმა შესვენებამ ჩვენებზე ეტყობა კარგად იმოქმედა. ყოველ შემთხვევაში, გერმანიის მეცხრამეტე ტურის მიხედვით ასეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა. „ფრაიბურგში“ მხოლოდ გიორგი კიკნაძეს არ უთამაშია. ახალწვეულია და მწვრთნელი ფინკეც, ალბათ ჯერ კიდევ საბუნდესლიგოდ აშზადებს. კიკნაძე რამდენიმე ტესტ-მატჩში გამოსცადეს და „ფრაიბურგის“ ოფიციალური ვებ-გვერდის მტკიცებით, პარტნიორებთან საერთო ენაც მალევე გამოუნახავს. კიკნაძის გერმანულ დებიუტს თებერვლის მეორე ნახევარში უნდა ველოდოთ. მანამდე კი შაბათის ამბებზე ვთქვათ. „ფრაიბურგმა“ შინ 2:0 მოუგო „უნტერჰახინგს“: ორივე გოლში ქართველების წვლილი ერია — პირველი ტაიმის მიწურულს კობიაშვილის ჩაწოდებული ბურთი ჰერცოგმა საკუთარ კარში გააქანა, მეორეს დასაწყისში კი იაშვილის მეცადინეობით ცაიერმა შეაგდო. „კიკერი“ წერს, რომ იაშვილი საშუალეზონო ამხანაგურ მატჩებშიც სოლიდურად გამოიყურებოდა და „უნტერჰახინგთანაც“ ძალიან გამოირჩეოდა. მართალია, არ გაუტანია, მაგრამ მოწინააღმდეგე მცველებს ბევრი თავსატეხი გაუჩინაო. აქტიური იყო კობიაშვილიც, ხოლო ცქიტიშვილმა ბოლო ნახევარ საათს ითამაშა. „ფრაიბურგმა“ კი აგერ უკვე მეშვიდე ტური ისე გალია, თამაში არ წაუგია. ბოლოვალდ ლინემა არჩილ არველაძე მინდორზე მაშინ გაიყვანა, როცა „კიოლნი“ ფრანკფურტში 4:1 იგებდა, თამაშის დამთავრებამდე კი რვა წუთი რჩებოდა. თითქოს საცოდავ „აინტრახტს“ არ ეყოფიდაო, 89-ზე ქართველმა მეხუთეც გაუტანა და მასპინძელთა მწვრთნელი, წარსულში დიდებული ფეხბურთელი ფელიქს მაგათი ჰამლეტისეულ ყოფნა-არყოფნაზე კიდევ უფრო ღრმად ჩააფიქრა. ეს აჩიკოს მეოთხე გოლი გახლდათ წლევანდელ ბუნდესლიგაში. გემარნელი კომენტატორი კი ქართველს მოხერხებას უქებდა და „არხილ, არხილს“ გაიძახდა...

ჩვენმა ბრიტანელებმა ასოციაციის თასზე მოსინჯეს ძალა. უფრო ზუსტად, დანდელმა გიორგი ნემსაძემ „ფალკირკთან“ სრულად ითამაშა და უგოლო ფრეს დასჯერდა. დანარჩენები კი... ქინქლაძე დაშავებულია, ხოლო მის „დერბის“ „ბლექერნთან“ გადათამაშება მოუწევს. რატი ალექსიძე კვლავ სარეზერვო გუნდშია, მისმა „ჩელსიმ“ კი „ჯილინგემს“ 4:2 აჯობა და შემდგომ ეტაპზე თანაქალაქელ „არსენალს“ დაუპირისპირდება. ქეცბაიას „ვულვერჰემპტონმა“ სტუმრად „უიკომბს“ ვერაფერი მოუხერხა, 1:2 წააგო და გათამაშებას დაემშვიდობა. ერთი კია, აღარც კი ვიცით, ისევ ვიგულოთ თუ არა „ვულვზი“ თემურის გუნდად. გუშინდელ „სარბიელშიც“ წაიკითხავდით, რომ ქეცბაიას გადაბირება მის ყოფილ კლუბს, ბერძნულ აეკ-ს სურს. პრობლემები არსებობს, მაგრამ სავარაუდოდ ერთ კვირაში გვეცოდინება დარჩება თუ არა საქართველოს ნაკრების ლიდერი „ნარინჯისფერ“ გუნდში.

კვლავაც ვერ იპოვა თავისი თამაში შოთა არველაძის „აიაქსმა“. შაბათს, ამსტერდამელები, თასის მერვედფინალში შინ „ვიტესთან“ დამარცხდნენ, თუმცა თავიდან იგებდნენ. ყველაფერი დამატებით დროში ვიტესელი კლასენსის გოლმა გადაწყვიტა. შოთამ მატჩი სრულად ითამაშა, მაგრამ ტყუპისცალისგან განსხვავებით, ამჯერად მინდვრიდან უგოლოდ გავიდა.

გოგა გახოკიძის „ეინდჰოვენმა“ ბოლო დღეებში ორი მატჩი გამართა და 10 გოლი გაიტანა. „ფილიპსელებმა“ ჯერ თასზე ქვედალიგელ „დენ ბოსხს“ 4:1 სძლიეს, მერე ჩემპიონატში „როზენდალს“ 6:0. გოგას კვლავ არ უთამაშია და მისი გუნდში დარჩენა-არდარჩენის საკითხიც ბუნდოვანია.

ისრაელში ისევ აიწყვიტა კობა წიტაშვილმა. ზედიზედ სამი წაგების შემდეგ მისმა „იერონიმ“ საკმაოდ ძლიერი თელ ავივის „ჰაპოელი“ 3:0 დაამარცხა. ორი კობამ გაიტანა, ერთიც ხაიმ ჰაჯიჯამ. საინტერესოა წიტაშვილის მარგი ქმედების კოეფიციენტიც. პირველი ბურთი დასაწყისშივე მე-8 წუთზე შეაგდო, მეორე ბოლოს — 87-ზე. ჩვენი ებრაელი კოლეგები ქართველის ხალისიან და ეფექტურ თამაშს განსაკუთრებით აღნიშნავენ.

ახლა კობას ჯამში 10 გოლი მოუგროვდა და ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე აინაცვლა. პირველზე კი 15 ბურთით კვლავ ფეთახთიკველი მოტი კაკონია.

ეს ამბავი შაბათს მოხდა. ამით ისრაელის ჩემპიონატის მესამე, დასკვნითი წრე დაიწყო. „ირონი“ ცხრილში მეცხრე ადგილზეა და საშიშ ზონასაც მეზობლობს. კობას კი გააქვს და გააქვს...

კიდევ, თუ ჩვენს ცხრილს უკვე გაეცანით, შენიშნავდით, იქ ახალი ქვეყანა გაჩნდა — იტალია. სერია A. „მილანი“. კახა კალაძე... როგორც იქნა, პირველი ქართველიც ითამაშებს იტალიის მთავარ ლიგაში. კალაძის ნიჭის ფეხბურთელს სახელოვან კლუბთან შეგუება არ უნდა გაუჭირდეს. ხუთი-ექვსი წლის წინ ამ ტრანსფერს საქართველოში დიდი ამბავი და ბაქი-ბუქი მოჰყვებოდა. მაგრამ ახლა სხვა დროა და ხმაურიც ნაკლებია. ეგებ, ასე ჯობდეს კიდეც. ჯერ მიეჩვიოს, ძირითადში ადგილი დაიმკვიდროს, მერე რაიმე სერიოზული მოიგოს და აბა, ხმაური მერე ნახეთ...

კახა უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს და შესაძლოა 4 თებერვალს „სან სიროზე“ „რეჯინას“ წინააღმდეგ ითამაშოს. ჩვენც დაველოდოთ და იქნებ მომავალ კვირას გრაფაში „თამაში“, კალაძეს ერთიანი ჩავუწეროთ.

სოლომონ გულისაშვილი

არჩილ არველაძემ ბუნდესლიგაში თავისი მეოთხე გოლი გაიტანა

სახელი	გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
გერმანია									
ბუნდესლიგა									
ალექსანდრე	იაშვილი	ფრაიბურგი	შ	უნტერჰახინგი 2:0	90	საგოლე პასი	16	4	9
ლევან	კობიაშვილი	ფრაიბურგი	შ	უნტერჰახინგი 2:0	90	საგოლე პასი	16	4	9
ლევან	ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	შ	უნტერჰახინგი 2:0	29	შეცვლაზე ითამაშა	15	0	9
გიორგი	კიკნაძე	ფრაიბურგი	შ	უნტერჰახინგი 2:0	0		0	0	9
არჩილ	არველაძე	კიოლნი	ს	აინტრახტი 5:1	8	შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი	15	4	7
მეორე ბუნდესლიგა									
მიხეილ	საჯაია	როიტლინგენი	შ	ალემანია 3:1	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	3	0	4
გიორგი	დეკანოსიძე	ფიურტი	შ	ზაარბრიუკენი 0:1	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	0	0	8
ინგლისი									
ასოციაციის თასის მეთექვსმეტედფინალი									
გიორგი	ქინქლაძე	დერბი	ს	ბლექბერნი 0:0	0	ტრავმირებულია	1	0	
რატი	ალექსიძე	ჩელსი	ს	ჯილინგემი 4:2	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	
თემურ	ქეცბაია	ვულვზი	ს	უიკომბი 1:2	0	სათადარიგო	0	0	
იტალია									
სერია A									
კახა	კალაძე	მილანი	ს	ბრეშა 1:1	0	ახალნვეულია	0	0	6
ესპანეთი									
პრიმერადივიზიონი									
გიორგი	დემეტრაძე	სოსიედადი	ს	რასინგი 4:1	0	ტრავმირებულია	1	0	19
ჰოლანდია									
უმაღლესი ლიგა									
გოგა	გახოკიძე	პსვ ეინდჰოვენი	შ	როზენდალი 6:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	2
თასის მერვედფინალი									
შოთა	არველაძე	აიაქსი	შ	ვიტესი 1:2 დ.დ.	98		1	0	
გოგა	გახოკიძე	პსვ ეინდჰოვენი	შ	დენ ბოსხი 4:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	
ბელგია									
უმაღლესი ლიგა									
გელა	შეყილაძე	ლიერსი	შ	ვესტერლო 1:2	90	გააფრთხილეს	16	1	8
ლაშა	ჯაკობია	აალსტი	ს	გენტი 0:1	16	შეცვლაზე ითამაშა	2	1	12
ისრაელი									
უმაღლესი ლიგა									
კობა	წიტაიშვილი	ი. რიშონი	შ	ჰ. ჰაიფა 3:0	90	2 გოლი	17	10	9
საბერძნეთი									
უმაღლესი ლიგა									
ლევან	ქებაძე	იანინა	შ	პანათინაიკოსი 0:4	63	შეცვალეს	9	0	15

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ვეტერინარებმა შვეიცარიელი ამაწვილები დაიგრიყვეს

ოთხი დღეა, საქართველოს ვიცეჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ იტალიურ შეკრებაზე იმყოფება. იდეალური სავარჯიშო პირობები, სამჯერადი კვება, სამჯერადი წვრთნა და „ნორჩას ზამთრის ტურნირში“ მონაწილეობა, სხვა რა უნდა ინატროს მოსამზადებელ ეტაპზე გუნდმა?! აკი ვიტელებიც აღიარებენ, თურქეთსა და გერმანიაში ვყოფილვართ, მაგრამ მსგავსი პირობები არსად გვქონიაო.

გუშინ დილით თემურ მახარაძეს გუნდი უვარჯიშებია, ხოლო შუადღისას ტურნირის სადებიუტო მატჩისთვის დაურაზმავს ფეხბურთელები. ვეტერინარები შვეიცარიულ „არაუს“ მოელოდნენ და განწყობაც შესაბამისი შეუქმნიათ.

„არაუ“ ფარმ-კლუბის მოთამაშეებით წარმდგარა ტურნირზე. ჩვენებურებსაც არ დაუნდვიათ მეტოქე და საბოლოოდ 15:1 უმარჯვიათ.

„ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტ გურამ რუხაძის თქმით, მახარაძეს ტაიმებში სხვადასხვა შემადგენლობა უთამაშებია. პირველ ნახევარში, რომელიც 7:0 დასრულებულა ჩვენებურთა სასარგებლოდ, ამათ უთამაშიათ:

მერლანი, საჯაია, არსოშვილი, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ლ. ნოზაძე, დიღმელაშვილი, გოგობერიშვილი, ვ. გოჩაშვილი, გიორგი ქორიძე, ლ. მელქაძე. გოლები, ქორიძეს სამი, გოჩაშვილს ორი, ხოლო ნოზაძეს და გოგობერიშვილს თითო გაუტანიათ.

მეორე ტაიმი „ვიტ ჯორჯიას“ მეორე თერთმეტეულს დაუწყია და ჩაუმთავრებია: ჭურაძე, ზ. გვაზავა, ჭანკოტაძე, ინწკირველი, დ. დოლიძე, რ. გოცირიძე, ყიფიანი, ი. ხაჭაპურიძე, სულითანიშვილი, ადამია, წუწუნავა. გოლები: წუწუნავას სამი, ყიფიანის, ხაჭაპურიძის, ადამიასა და გვაზავას ანგარიშზეა.

მომდევნო მატჩს „ვიტ ჯორჯია“ ხვალ, იტალიის სერია C-ს „ასკოლისთან“ გამართავს.

დათო დანელია

კახა წუწუნავა

ნებიერიძის კეთილი ნება

ჯერაც არარეგისტრირებული, დაახლოებით ხუთი მილიონის მომლოდინე და გაურკვევლობაში მყოფი „დინამო“ შინ, დიღმის ბაზაზე აგრძელებს საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადებას. გუნდს ხელმეორედ გამოემშვიდობა ფორვარდი თემურ გადელია, რომელმაც შობა-ახალწელიწადის მერე დატოვა გუნდი და რუსეთს მიაშურა, შემდეგ კვლავ „დინამოში“ დაბრუნდა, რამდენიმე ვარჯიში ჩაატარა. ახლა კი ისევ ცდილობს, რომელიმე რუსულ კლუბში ამოყოს თავი. რაც შეეხება ზაზა ზირაქიშვილს, მას მუხლის ტრავმა გაუმიზეზდა და უბურთოდ ვარჯიში სამი დღის წინ დაიწყო. ქუთაისის „ტორპედოში“ გადასული ფეხბურთელებით, რევაზ ქემოკლიძითა და პაატა ჯინჭარიძეთი „დინამო“ ვერაფერს ისარგებლებს, რადგან მათ გუნდთან კონტრაქტი არ აკავშირებდათ.

გუშინ ათგზის ჩემპიონმა თავის ბაზაზე ბოლნისის „სიონს“ უმასპინძლა. საკონტროლო მატჩი ერთობ დაძაბული გამოდგა, სტუმრები შემართებით ეთამაშნენ „დინამოს“, მაგრამ საბოლოოდ ვერას გახდნენ. პირველი ტაიმი „სიონმა“ შალვა ისიანის გოლით მოიგო, მეორეში მასპინძლებმა იმარჯვეს — ანგარიში კოკა მიკუჩაძემ გაათანაბრა, გამარჯვებისა კი კახა გოგოლაძემ შეაგდო.

და კიდევ. მატჩს დიღმის ბაზის დირექტორი მურმან ნებიერიძე მსაჯობდა, სხვათა შორის, არც თუ ურიგოდ.

დავით თავართქილაძე

ბოლნისელებმა მილანში ნათამაშევი ფეხბურთელიც შეიგულეს

საშუალეზონო პერიოდისთვის ბოლნისის „სიონმა“ დედაქალაქი არჩია და უნდა ითქვას, რომ ქვემოქართლელები მეტად ნაყოფიერადაც ემზადებიან მეთორმეტე ეროვნულის განახლებისთვის. საქმე მხოლოდ წვრთნასა და საკონტროლო მატჩების ჩატარებაში როდია. ბოლნისელები სატრანსფერო პოლიტიკასაც ერთობ ინტენსიურად აწარმოებენ — შემატებულ ხუთ ფეხბურთელს, ახლახან კიდევ ორი მიუმატეს.

27 წლის მეკარე კოტე გუგუნავა ბოლოს თსუ-ში თამაშობდა, თუმც სტუდენტთა ახალგაზრდა გოლკიპერ დავით მამარდაშვილთან კონკურენცია მისთვის ნაღდად არ იყო იოლი. მანამდე გუგუნავა „ვიტ ჯორჯიას“ ღირსებასაც იცავდა, მაგრამ უმეტესწილად სათადარიგოთა სკამზე ჯდომა უწევდა. ახლა იგი ბოლნისის „სიონში“ გააგრძელებს კარიერას.

„სიონის“ მეორე ახალშენაძენი კოტე მელქაძეა. ამ ფეხბურთელმა ეროვნული ჩემპიონატი გორის „დილაში“ დააჭაშნიკა, მერე კარგა ხანს „შევარდენის“ გამთამაშებელი იყო, შემდეგ თსუ-ში და „ლოკომოტივში“ ირჯებოდა. ბოლნისელთა გუნდში მისვლამდე კი პირველლიგელი წნორის „მილანის“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეც გახლდათ.

დავით თავართქილაძე

გაჯი დავითეგს დუბაიში გამოცდის

საულის არაბეთში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფი მახაჩყალის „ანჟით“, ბუნებრივია, არც დავინტერესდებოდით, რომ არა ერთი გარემოება. საქმე ის გახლავთ, რომ კარსმომდგარი რუსეთის ჩემპიონატისთვის გაცხოველებულ სამზადისში მყოფ დაღესტნურ კლუბში ორი ქართველი ფეხბურთელი ისინჯება და ეგებ, რუსეთის ქართულ ლეგიონსაც შეემატონ.

დავით ჩოხელი და დავით ზაზაშვილი რუსთავის „ხალიბის“ ფეხბურთელები არიან. ჩოხელი შარშან „ბათუმმა“ ინათხოვრა წლის ბოლომდე, ზაზაშვილმა კი საშემოდგომო ეტაპი მშობლიურ „ხალიბში“ ჩაამთავრა. ნიჭიერი ნახევარმცველი საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების ხელმძღვანელებსაც არ დაუტოვებიათ უყურადღებოდ და მან გასულ წელს ხორვატიაშიც ითამაშა ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. ბოლოს ზაზაშვილიც და ჩოხელიც „ვიტ ჯორჯიაში“ ისინჯებოდნენ. მერე კი მახაჩყალური გუნდი გამოჩნდა და დღეს ხალიბელები დუბაიში იმყოფებიან და „ანჟის“ მთავარი მწვრთნელის გაჯი გაჯიევის განკარგულებაში არიან.

გუშინ „ხალიბის“ მთავარ მწვრთნელ და იმავე დროს ქვემო ქართლის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან მურმან გოგოლაძეს დავუკავშირდით.

— ჩოხელმა და ზაზაშვილმა დუბაიში ორ საკონტროლო მატჩში მიიღეს მონაწილეობა, 22 ფეხბურთელს შორის ვარჯიშობენ. ზაზაშვილი გუშინ შემეხმიანა და მითხრა, ორივემ წარმატებით ჩავაბარეთ ნორმატივები და გაჯიევიც კმაყოფილიაო — თქვა მურმან გოგოლაძემ.

ზაზაშვილი 18 წლისაა, ჩოხელი მასზე ერთი წლით უფროსი და თუ ეს ფეხბურთელები „ანჟიში“ მოეწყვნენ, გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრები იქნებიან.

პაატა კვანტალიანი

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

იბერია შევარდენზე:

იგებს, აგებს და ზღვისპირეთში არ მიდის

სამტრედიული „იბერია“ საფეხბურთო სკოლა „შევარდენს“ რომ შეუერთდა და „იბერია-შევარდენი“ დაერქვა, აბა, რა ახალი ამბავია.

ჰოდა, გაერთიანების შემდეგ საგაზაფხულო ეტაპისთვის ემზადება მეთორმეტე ეროვნულის აუტსაიდერი გუნდი. „იბერია-შევარდენი“ ნოდარ აკობიას თავკაცობით „შევარდენის“ სტადიონზე ვარჯიშობს, თან სასურველ ფეხბურთელებს დაეძებს, მწვრთნელის თქმით, უკვე შეგულებულია რამდენიმე ფეხბურთელი, მაგრამ მათი საკითხი საბოლოოდ ჯერაც არ ყოფილა გადაწყვეტილი.

„იბერია-შევარდენმა“ ორი საკონტროლო მატჩი ითამაშა. ჯერ „შევარდენის“ საფეხბურთო სკოლის გუნდს 3:2 მოუგო, მერე კი ცხრამეტწლამდელთა ნაკრების საბაზო გუნდთან 2:1 წააგო.

როგორც ნოდარ აკობიამ გვითხრა, გუნდი ყვავილნარში შეკრებაზე აღარ წავა. ზღვისპირნეთში სპარინგ-პარტნიორი აღარ დარჩა და წასვლას რაღა აზრი აქვსო.

დათო დანელია

საშუალეზონო მიდი-მოდი

		გასხვისებულები	**ახალწვეულები**	**სეზონთშორისი**
	ლოკომოტივი *გივი ნოდია*	ლევან სილაგაძე, თოდუა (ტორპედო), რუსია (ცსკა, უკრაინა), გონჩაროვი, პარამონოვი (ტრანსფერზე არიან), აბრამიძე (?)	ბაქრაძე (მეტალურგი), ზ. ლაცაბიძე (ჰუტნიკი, პოლონეთი), ანჩაბაძე (დინამო), კიდარაშვილი (კროვბასი, უკრაინა), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი); გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი)	გორდა 0:0
	ტორპედო *დავით ყოფანი და რევაზ ძოძუაშვილი*	ჭანტურია (ბათუმი), ჩხაიძე (მერანი), შალამბერიძე, ახვლედიანი (კოლხეთი), თურმანიძე, შეყრილაძე, ვაჩიბერაძე, მეგრელაძე (?)	დიდავა (მაკაბი, თა, ისრაელი), ამვეთია (ალანია, რუსეთი), ლევან სილაგაძე, თოდუა (ლოკომოტივი), ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე (დინამო), ახალკაცი (კოლხეთი), გვირგიშვილი (ცხინვალი), ბაბუნაშვილი (სამგურალი); რევაზ ძოძუაშვილი (ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი)	კოლხეთი 0:0, ფაშტიკ აკ ალტინი (ყირგიზეთი) 3:0, შამქირი (აზერბაიჯანი) 2:1, დუსტლიკი (უზბეკეთი) 3:0
	დინამო *რევაზ არველაძე*	ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე (ტორპედო), სახვაძე (რიდი, ავსტრია), ანჩაბაძე (ლოკომოტივი), გადელია (?)	იაგორაშვილი (პროიზერ კიოლნი, გერმანია), ჩივაძე, მიკუჩაძე, მანნკავა, ქარდავა (დინამო 2)	დილა 4:0, გორდა 4:3, სიონი 2:1
	ვიტ ჯორჯია *თემურ მახარაძე*	დეკანოსიძე (ფიურტი, გერმანია), სტურუა (თსუ), მიხეილ თაყაძე (დილა)	გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), არსოშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), გოცირიძე, წუწუნავა, ადამია (თსუ), ფეიქრიშვილი (ვალენსია)	სიონი 2:1, თსუ 2:0, არაუ 15:1
	კოლხეთი *სოსო ფილია*	ახალკაცი (ტორპედო), მაღლაკელიძე (მერანი), ფრანგიშვილი (სამგურალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (დილა), კედელაშვილი (გორდა), დავითნიძე (ნ. ნოვგოროდი, რუსეთი), თედეევი, ჭანტურიძე (კოლხეთი 2), ხუჭუა (?, რუსეთი)	ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), წიწნიკაძე (სიონი), მუმლაძე (იბერია შევარდენი), ვართაგავა (ხობი), შალამბერიძე, ახვლედიანი (ტორპედო), ნარსია, აკობია, პ. ბაჩილავა, ყურაშვილი (კოლხეთი 2)	ტორპედო 0:0, ბათუმი 4:1, 0:2, 0:1, თსუ 1:0
	მერანი *ოთარ გაბელია*	პოდლესნი (ზარია, უკრაინა)	მაღლაკელიძე (კოლხეთი), ჩხაიძე (ტორპედო), ხუციშვილი (არ თამაშობდა), ზაზა კვეკვესკირი (შუქურა), ბესიკ შენგელია (ბათუმი), ოთარ გაბელია (მთავარი მწვრთნელი)	
	ბათუმი *ასლან ბალაძე*	ბედიაშვილი, სოხაძე (გორდა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), სიდამონიძე (სიონი), თარგამაძე (სიონი), ბ. შენგელია (მერანი), ბარქაია, გაბისონია (ტრანსფერზე არიან), ჩოხელი (ანჟი, რუსეთი), სიხარულიძე, ქერაშვილი (?)	ჭანტურია (ტორპედო), ი. მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში (არ თამაშობდნენ), ი. შენგელია (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი);	კოლხეთი 1:4, 2:0, 1:0
	სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	წიწნიკაძე (კოლხეთი), გამცემლიძე, პეტრიაშვილი, დიმიტრიშვილი, მ. გოგოლაძე (?)	თარგამაძე (ბათუმი), ტარიელაშვილი (თორი), მოსულიშვილი, ძაბირაძე (არ თამაშობდნენ), სიდამონიძე (ბათუმი), კ. მელქაძე (მილანი)	ვიტ ჯორჯია 1:2, დინამო 1:2
	გორდა *იასონ ალადაშვილი*		ბედიაშვილი, სოხაძე (ბათუმი), კედელაშვილი (კოლხეთი), ა. გელაძე, თ. მეტრეველი (არ თამაშობდნენ)	დინამო 3:4, მილანი 3:2, ლოკომოტივი 0:0
	დილა *ვაჟა ხაჩირაშვილი*	მდივანი (ივერია), ციცქიშვილი (ცხინვალი), გ. ტულუში (თამაში მიატოვა)	რ. ხაჭაპურიძე (ცხინვალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (კოლხეთი), მიხეილ თაყაძე (ვიტ ჯორჯია)	დინამო 0:4
	თსუ *მერაბ კოჭლაშვილი*	გოცირიძე, წუწუნავა, ადამია (ვიტ ჯორჯია), გუგუნავა, ა. ბოკერია, ერაძე, კ. ვადაჭკორია (?)	სტურუა (ვიტ ჯორჯია), ბერიანიძე, ქილაძე, ელყანიშვილი, დათუნაშვილი, დ. სულავა, ბეროშვილი, ე. მერეშაშვილი, შოშიაშვილი, ჯობავა, ა. ლობჟანიძე (ვიტ ჯორჯია 2)	ვიტ ჯორჯია 2 2:0, ვიტ ჯორჯია 0:2, კოლხეთი 0:1
	იბერია შევარდენი *ნოდარ აკობია*	ს. გეგიაძე (ტავრია, უკრაინა), ბინაძე, ოდიკაძე, ლ. ხმალაძე (სპარტაკი, სუმი, უკრაინა), მუმლაძე (კოლხეთი), ვარდანიძე, ჩომახიძე, გ. ნოზაძე (?)	ნოდარ აკობია (მთავარი მწვრთნელი)	შევარდენი 3:2, ცხრამეტწლამდელები 1:2

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დასრილი ტრანსფერებია

ყველაფერი დაკნაშავეა დი კანიო

გარი ნევილს და ალექს ფერგიუსონს წაგება არ სცოდნიათ, კინი კაცური სიტყვას ამბობს, ბექემი კი იფურთხება

„მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ვესტ ჰემის“ სათასო ბრძოლაში ცნობილმა მსაჯმა პოლ დარკინმა სტუმართა კარში პენალტი არ დანიშნა, არადა, აშკარად მისაცემი იყო — ნაიჯელ უინტერბერნმა ენდი კოულის დარტყმული ხელით მოიგერია. აღშფოთდა ხალხი, მაგრამ ეს კიდევ არაფერი — 75-ე წუთზე ყველას თამაშგარე რომ ეგონა, ოდენ დარკინმა და პაოლო დი კანიომ იცოდნენ, რომ ასე არ იყო და იტალიელმაც ბარტეზს გაუტანა. გოლს 19 წუთი (ოთხი წამატებული) გააფრთებული ბრძოლა მოჰყვა, რის შემდეგაც ის ამბები დატრიალდა, რაზეც ქვემოთ მოგითხრობთ.



THE SUN

დაზარალებული და დაზარალებული: ჯეისონ ჰელამი და დევიდ ბექემი

წაგება ყველაზე მეტად გარი ნევილმა იწყინა, ყოველ შემთხვევაში, სხვები თუ გულში იკლავდნენ ბოდმას, ეს თანამსაჯს მიეჭრა და საქმის გარჩევა დაუწყო. ტყუპისცალმა ასე განსაჯა — ვთქვათ, დარკინმა თამაშგარე ვერ შენიშნა, ამან ხომ დაინახა და რად არ უთხრა არბიტრს, ალამი სწორად ავწიე და გოლი არ ჩათვალოთო. არადა, თანამსაჯი რა შუაშია? რაც შეეძლო, გააკეთა — ალამი აწია და მეტს, აბა, ვინ ეკითხებოდა.

პოლ დარკინმა კოლეგა საცოდავ მდგომარეობაში რომ დაინახა, შუაში ჩადგა და ნევილს წესრიგის დაცვისკენ მოუწოდა. ნევილს კიდევ ეს უნდოდა? პირიდან ისეთი გინება ამოუშვა, რომლის მსგავსიც მსაჯს აქამდე არ გაეგონა. აღვნიშნოთ, რომ მსაჯები საზოგადოდ (ინგლისშიც კი) გინებას მიჩვეულნი არიან.

დარკინმა მოგვიანებით თქვა, ეს ამბავი მინდორზე რომ მომხარიყო, ვიცოდი, მისთვის რა ფერის ბარათიც უნდა მეჩვენებინაო. ინციდენტი გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში მოხდა, სადაც მსაჯის ბარათს ნაკლები ფასი აქვს, ამიტომ დარკინი ნევილის „გმირობის“ ოქმში აღწერას დასჯერდა.

ოქმი ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტის მაგიდაზე აღმოჩნდა. კომიტეტის წევრები მას გაეცნენ, აღშფოთდნენ და ბრძანეს, დამნაშავეს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯოსო. ფეხბურთელის დაცვა სერ ალექს ფერგიუსონმა სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. მან თქვა, გარი მსაჯს არდანიშნულ პენალტზე და დი კანიოს გოლზე კი არა, წამატებული წუთების რაოდენობაზე ეკამათებოდაო. დაგვეთანხმებით, ვერაფერი დაცვაა — კამათის თემას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ აგინა.

ნევილი ვერც ჯიბეზე ხელის გაკვრას გადაურჩება, რადგან კლუბმა ის ორი კვირის ხელფასით დააჯარიმა. თანხა სოლიდურია — 50 ათასი გირვანქა (თუმცა, ვისთვის როგორ).

ნევილის დისკვალიფიკაციის თემას ისიც დავუმატოთ, რომ სადისციპლინო კომიტეტმა მას გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის თოთხმეტი დღე მისცა. თუ ფეხბურთელმა ეს უფლება გამოიყენა და საქმე მაინც წაგო, გამოსატოვებელ მატჩებს ამის მერე დაუთვლიან.

გარი ნევილს მსაჯის ლანძღვა არ შეარჩინეს

„ვესტ ჰემთან“ მარცხი ალექს ფერგიუსონმაც დიდად იწყინა და დამნაშავის ძებნა ნევილის მსგავსად სხვაგან დაიწყო. თუმცა, როგორც მისი მდგომარეობის კაცს ეკადრება, უფრო კორექტული იყო. მან თქვა, ბიჭებს თამაში უჭირდათ, რადგან „ოლდ ტრეფორდზე“ სარაგბო მატჩის შემდეგ მოედანი წამხდარი იყოო. მორაგბეები მინდორს რომ აფუჭებენ, საკამათო არაა, მაგრამ სერ ალექსის არგუმენტში მაინც ეჭვი უნდა შევიტანოთ — აღნიშნული თამაში გასული წლის ნოემბერში გაიმართა, რის მერეც „იუნაიტედს“ არაერთხელ მოუხდა „ოლდ ტრეფორდზე“ გასვლა და გამარჯვება. აქამდე საფარის უხარისხობაზე არავინ წუხდა და რატომღაც მხოლოდ მარცხის შემდეგ გაიხსენეს.

ასე რომ, სახელოვანმა მწვრთნელმა დამარცხების საკუთარ ახსნაში ვერავინ დაარწმუნა, სამაგიეროდ, თავისი კაპიტნის წყრომა დაიმსახურა: როი კინმა განაცხადა, ისეთი რამ არ უნდა ვთქვათ, ქომაგთა რისხვა დავიმსახუროთ. მოგვიბრუნდებიან და ნიშნის მოგებით გვეტყვიან, მეტოქისთვის რატომ არ იყო მინდორი გაფუჭებულიო.

ფერგიუსონმა მორაგბეებიც აღაშფოთა და რაინდი შოტლანდიელის მისამართით სწორედ ის თქვეს, რასაც როი კინი უფრთხოდა. ამის გარდა გაიხსენეს, რომ „ოლდ ტრეფორდზე“ მორაგბეთა მატჩები 1986 წლიდან იმართება, რასაც სტადიონისთვის და ესე იგი კლუბისთვის გვარიანი შემოსავალი მოაქვს. რიცხვებიც გაამხილეს — გასულ წელს „მანჩესტერს“ მორაგბეთა თამაშებიდან (შემოსავლის ყველა წყაროს გათვალისწინებით) 500 ათასი გირვანქა მიუთვლია.

ეს ამბავი კი, ქვემოთ რომ მოგახსენებთ, „ვესტ ჰემთან“ მატჩის შემდეგ სტადიონიდან სახლისკენ მიმავალ გზაზე, ბექემების საცობში მოხვედრილ ოჯახს შეემთხვა.

...საცობში მოხვედრილ ერთ-ერთ მანქანაში ისხდნენ „ვესტ ჰემის“ ფანები, მამა-შვილი კეიტ და ჯეისონ ჰელამები და ჯეისონის მეგობარი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივარი, ვინმე ბენი. ჰოდა, ჯეისონს გვერდით გაჩხერილ „ლინკოლნისკენ“ გაუხედავს, რომელშიც დევიდ ბექემის გარდა მისი მშობლები და ცოლ-შვილი ისხდნენ. „ასეთ შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდიო — ამბობს ჯეისონი — ფანჯარა ჩამოვწიე და ბექემს „ვეტ ჰემის“ მაისურა ავუფრიალე. დარწმუნებული ვიყავი, ის გამიღიმებდა და გამარჯვებას მომილოცავდა, მაგრამ გაოცებული დავრჩი: ამის სანაცვლოდ შუა თითი მიჩვენა“. ამის შემდეგ მოძრაობა გახსნილა და მანქანები თავისი გზით წასულან, მაგრამ...

ისევ ჯეისონ ჰელამი: „გზა განვაგრძეთ, რამდენიმე წუთში ბექემი წამოგვეწია, ფანჯარა ჩამოწია და შემოგვაფურთხა — ამცდა. მეორედ პირდაპირ თვალში დამიმიზნა — კიდევ კარგი, რომ სათვალეს ვატარებ“.

აღშფოთებულა ჯეისონის მამაც, რომელმაც ძველი დრო გაიხსენა და თქვა, ბობი მური ხალხს არ აფურთხებდა და ნამდვილი კაპიტანიც იყო. სირცხვილი არაა, ამისთანას ინგლისის ნაკრები როგორ უნდა ჩააბაროო.

გახსოვთ, ვინმე ბენი რომ ვახსენეთ, „მანჩესტერის“ ფანი? ისიც ძმაკაცის მხარეს გადასულა და გაიძახის, თვალები ამეხილა, თურმე ვის ვჭმამგობდიო.

ბექემის ამბის დასრულება აქ არ შეიძლება, რადგან ფეხბურთელსაც საკუთარი ვერსია აქვს. მისი თქმით, გვერდზე მანქანიდან ვიღაც ლაწირაკმა მის ცოლს ძალიან ცუდი რამ აკადრა, ანუ პატარა ბრუკლინის გაჩენაში დევიდის წვლილი უარყო.

ბექემი, რა თქმა უნდა, საშინლად გამწარებულა და შუა თითი უჩვენებია, რაც შეურაცხყოფისთვის საკმაოდ ლმობიერი პასუხია. ბექემის ადვოკატმა კი დაუმატა, ეგ თავხედი როგორ ამბობს, ბექემმა შემაფურთხაო, როცა დევიდს ფანჯარაც არ ჩაუწევია, რასაც მისი ოჯახის წევრებიც ადასტურებენო.

გიორგი დარჯანია

მამიკომ წააგო. ვიქტორია და ბრუკლინ ბექემები „ვესტ ჰემთან“ უიღბლო მატჩზე

ექიმი კარდიოლოგი

გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია

(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

ბელგია

XX ტური

სტანდარდი 1:1 ბეერსხოტი
1:0 აარსტი (41), 1:1 მუტაფეჯიჩი (58)

მუსკრონი 4:2 მეხელენი
0:1 ვან პუტი (10), 1:1 მარჩინ ფეკლაკოვი (53), 2:1 ვლაშაუვერი (69), 2:2 ტიისი (74), 3:2 მარჩინ ფეკლაკოვი (76), 4:2 ლაფარე (86)

ლუვიე 0:2 ჰარელბეკე
0:1 ტომპსონი (31), 0:2 კლომპი (87)

ბეევრენი 1:3 ანდერლეხტი
0:1 ბასეჯიო (11), 0:2, 0:3 რაძინსკი (30, 61), 1:3 ტორკენი (69)

ლოკერენი 2:2 ბრიუგე
1:0, 2:0 ოლუფადე (4, 33), 2:1 ლემბი (43), 2:2 ვერმანტი (53)

გენტი 1:0 აალსტი
1:0 ოლკუსე (43)
აალსტი: კუიოვიჩი, დე კისერი, ბარტსი, ტემერმანი, ფილიპოვიჩი (წაბალანსება 74), ვან დენ ბოში, რეიჯელი, კესტენსი, ბელბრეტტი (დე ვილდე 59), ტიბო (ჯეკობსი 80), როფერიო
მწვრთნელი: ვიმ დე კონინკი
7 500 მაყურებელი

გენკი 3:0 სენტ ტრუიდენი
1:0 ორიეი (47), 2:0 სონკი (77), 3:0 ვან ოკელენი (80ს.ჯ.)

ლიერსი 1:2 ვესტერლო
1:0 ვან მეირი (36), 1:1, 1:2 დელენი (86, 87)
ლიერსი: დემანი, სმეტსი, ვან მეირი, დაემსი, ზუბიულაძე, სნოეკსი, ვერეტენნიკოვი (ლაურენანსი 84), ლეენი, ვან დიორენი (ეეპა 78), ბიუსგენსი (სომერსი 58), კაფენსი
გაფრთხილება: ზუბიულაძე
მწვრთნელი: ვალტერ მეუსი
8 500 მაყურებელი

ანტვერპენი 1:1 შარლეროა
1:0 ვერბეეკი (11), 1:1 იაზდანი (74)

ანდერლეხტი	19	16	3	0	56:16	51
ბრიუგე	19	16	2	1	59:14	50
სტანდარდი	20	11	5	4	50:24	38
გენტი	19	10	5	4	38:29	35
მუსკრონი	20	10	4	6	44:29	34
ვესტერლო	19	10	4	5	35:28	34
შარლეროა	20	10	3	7	36:34	33
ლიერსი	20	9	4	7	32:27	31
ბეერსხოტი	20	9	2	9	35:29	29
ლოკერენი	20	7	7	6	28:30	28
ბეევრენი	20	7	5	8	19:38	26
გენკი	20	6	6	8	26:27	24
ანტვერპენი	20	7	2	11	25:30	23
აალსტი	20	4	4	12	21:46	16
სენტ ტრუიდენი	20	3	4	13	20:39	13
ჰარელბეკე	20	4	1	15	24:60	13
მეხელენი	20	2	5	13	27:48	11
ლუვიე	20	1	6	13	13:40	9

ისრაელი

23-ე ტური: ბეითარი — ჰაპოელი (ფეთახ თიკვა) 0:1; აშდოდი — ჰაპოელი (თელ ავივი) 0:0; მაკაბი (ჰაიფა) — ცაფრირიმი 4:1; მაკაბი (ფეთახ თიკვა) — მაკაბი (ნეთანია) 0:0; ირონი — ჰაპოელი (ჰაიფა) 3:0; მაკაბი (თელ ავივი) — ბნეი იეჰუდა 1:0

მ. ჰაიფა	23	16	6	1	44:17	54
ბეითარი	23	14	7	2	30:14	49
ჰ. თელ ავივი	23	12	8	3	34:16	44
ჰ. ჰაიფა	23	11	6	6	36:28	39
ჰ. ფეთახ თიკვა	23	9	7	7	42:31	34
მ. თელ ავივი	23	8	8	7	37:22	32
მ. ფეთახ თიკვა	23	9	5	9	29:26	32
მ. ნეთანია	23	7	7	9	31:35	28
ირონი	23	7	4	12	25:43	25
ბნეი იეჰუდა	23	4	6	13	20:38	18
აშდოდი	23	4	5	14	26:39	17
ცაფრირიმი	23	1	3	19	12:57	6

ამხანაგური მატჩები

აშშ 2:1 ჩინეთი
1:0 მაკბრაიდი (27), 2:0 ვონგ ლიანგი (47ს.ჯ.), 2:1 კუ ბო (74)

იამაიკა 0:0 ბულგარეთი

ჰოლანდია

გადადებული მატჩები

პსვ ეინდჰოვენი 6:0 როზენდალი
1:0, 2:0 კეიმანი (10, 19), 3:0 კასი (44ს.ჯ.), 4:0 კეიმანი (48), 5:0, 6:0 ბრუგინკი (67ჯ, 90)
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი, ნიკიფოროვი (ფაბერი 74), ჰოფლანდი, ჰაინეე (ბუმა 66), ვოგელი, რომეიდალი, დე იონგი (ვან დერ დულენი 70), კოლკი, ბრუგინკი, კეიმანი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
31 000 მაყურებელი

ფეიენოორდი 2:0 ბრედა
1:0 კალუ (83), 2:0 ტომასონი (90)

ფეიენოორდი	18	15	1	2	43:16	46
პსვ ეინდჰოვენი	18	12	5	1	38:12	41
ვიტესი	18	11	4	3	36:25	37
აიაქსი	18	10	3	5	45:24	33
როდა	18	9	3	6	35:25	30
ტილბურგი	18	7	6	5	27:22	27
ნაიმეგენი	18	6	9	3	24:19	27
უტრეხტი	18	8	3	7	34:30	27
ვალვაიკი	18	7	6	5	19:16	27
ბრედა	18	7	3	8	24:30	24
ალკმარი	18	6	5	7	28:32	23
გრონინგენი	18	6	4	8	25:29	22
ტვენტე	18	5	6	7	28:33	21
ჰერენვენი	18	4	7	7	20:28	19
გრაადფსხაპი	18	4	1	13	24:38	13
სპარტა	18	3	4	11	23:37	13
როზენდალი	18	3	1	14	23:51	10
სიტარდი	18	1	5	12	13:42	8

თასის მერვედფინალი

აიაქსი 1:2 დ.დ.(1:1) ვიტესი
1:0 გალაშეკი (20), 1:1 ამოა (83), 1:2 კლასენი (98)
აიაქსი: გრონი, ბერგდალმო, დე კლერი, ბასანენი, სიერი, გალაშეკი, ვან დერ ვაარტი, ვან დერ მეიდე (იკედია 77), მახლასი (ვინტერი 82), შ. ბრეიდაძე, ვამბერტო
მწვრთნელი: კო ადრიანსე
25 000 მაყურებელი

ვინლო (II) 0:1 ჰერენვენი
0:1 ნურმელა (77)

ჰერაკლესი (II) 1:5 ცვოლე (II)
1:0 დე ბრაკი (3), 1:1, 1:2 ბოსხაარტი (26, 28), 1:3 როელფსენი (56), 1:4 დენ დუნენი (68), 1:5 ბეკვეგი (76ჯ)

სიტარდი 1:2 ტვენტე
0:1 ჰუვინგი (9), 1:1 ბიეკოვიჩი (32), 1:2 ბუთი (47)

როდა 2:0 უტრეხტი
1:0 ტორმა (3), 2:0 ანასტასიუ (45)

ექსელსიორი (II) 1:3 ალკმარი
0:1 ვან გალენი (54), 0:2 ბოსმანი (60), 1:2 ბოლაკი (76), 1:3 ვან გალენი (90)

ნაიმეგენი 1:2 ფეიენოორდი
1:0 შულპი (5), 1:1, 1:2 კალუ (8, 80)

პსვ ეინდჰოვენი 4:1 დენ ბოსხი (II)
1:0, 2:0, 3:0 კეიმანი (39, 52, 59), 4:0 ბრუგინკი (66), 4:1 მურადი (88)

მეოთხედფინალის ფინისყრა
ვიტესი — ალკმარი; ჰერენვენი — ფეიენოორდი; როდა — პსვ ეინდჰოვენი; ცვოლე (II) — ტვენტე

საბერძნეთი

მე-20 ტური: იანინა — პანათინაიკოსი 0:4; პაოკ — კალამატა 7:1; ირაკლისი — აეკ 1:2; პანიონიოსი — პანილიაკოსი 0:1; ეთნიკოსი — ოლიმპიაკოსი 0:1; ქსანტი — პანაჰაიკი 1:0; ათინაიკოსი — იონიკოსი 2:2; არისი — ოფი 2:0

ოლიმპიაკოსი	16	13	2	1	50:14	41
პანათინაიკოსი	16	11	5	0	30:8	38
პაოკ	16	9	5	2	38:25	32
აეკ	16	9	3	4	31:23	30
ირაკლისი	16	8	3	5	24:17	27
იონიკოსი	16	6	7	3	26:23	25
არისი	16	6	4	6	18:18	22
ქსანტი	16	6	3	7	10:16	21
ეთნიკოსი	16	6	3	7	19:29	21
პანიონიოსი	16	3	9	4	18:20	18
პანილიაკოსი	16	3	6	7	12:22	15
პანაჰაიკი	16	3	5	8	19:27	14
იანინა	16	3	4	9	20:31	13
ათინაიკოსი	16	3	3	10	21:35	12
კალამატა	16	1	7	8	21:36	10
ოფი	16	1	5	10	15:28	8

იტალია

სერია B. XX ტური

პისტოიეზე 1:2 ევოლი
0:1 ბრეშიანო (64), 0:2 მაკარონე (75), 1:2 ბაიანო (79)

გერმანია

II ბუნდესლიგა. XIX ტური

ბრემენი 1:1 ულმი
0:1 შარინგერი (40), 1:1 ვაისენბერგერი (43)

გაყიდულია!

„რივერ პლეიტი“ „ვალენსიას“ შეთავაზებულს დასჯერდა

ამ დღეებში ბუენოს აირესულ კლუბ „რივერ პლეიტის“ დირექტორთა საბჭო საგანგებოდ შეიკრიბა და იმსჯელა იმაზე, გაეშვათ თუ არა ამომავალი ვარსკვლავი პაბლო აიმარი არგენტინიდან ევროპაში და დათანხმებულიყვნენ თუ არა „ვალენსიას“ შეთავაზებულ 20 მილიონ დოლარს. იმსჯელეს, იკამათეს და ბოლოს კენჭისყრაც მოაწყვეს. 14 წევრმა გაყიდვას მხარი დაუჭირა, 7 წინააღმდეგი იყო. ამრიგად, საკითხი დადებითად გადაწყდა. მივყიდოთ — ასეთი იყო კლუბის პრეზიდენტ დევიდ პინტადოს საბოლოო სიტყვა. ისინი, ვინც წინააღმდეგნი გამოდიოდნენ, ამტკიცებდნენ, რომ აიმარი ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდაა და „რივერმა“ იგი 25 მილიონ დოლარზე ნაკლებად არავის უნდა დაუთმოს, მაგრამ არ გაუვიდათ.

ამრიგად, საბოლოოდ მოეღო ბოლო ყმაწვილი არგენტინელის გარშემო ატეხილ აურზაურს. ევროპული ბობოლა კლუბი არ დარჩენილა, აიმარის მსურველთა შორის არ მოეხსენებინოთ, მათ შორის გამარჯვებული კი „ვალენსია“ დარჩა. აიმარი და „რივერის“ პრეზიდენტი ესპანეთს მალე ესტუმრებიან და ყველა საჭირო დოკუმენტაციასაც იქვე გააფორმებენ. „თავად ფეხბურთელი ძალიან გახარებულია. ახალი შეთანხმებით ჩვენც ნასიამოვნები ვართ და დიდ იმედს გამოვთქვამთ, რომ აიმარის ესპანურ ფეხბურთთან ადაპტაციის პერიოდი სულ მალე და უმტკივნეულოდ გაივლის“ — განაცხადა პინტადომ. და კიდევ — ვარაუდობენ, რომ აიმარი და „ვალენსია“ შვიდწლიან კონტრაქტს გააფორმებენ.

ისიც ვთქვათ, რომ „რივერ პლეიტმა“ აქამდე „ვალენსიას“ ორი წინადადება უარყო და საბოლოოდ მესამეჯერ შეთავაზებულს დათანხმდა. ამგვარად, აიმარი პრიმერადივიზიონურ კლუბში სამი თანამემამულის — რობერტო აიალას, კილი გონსალესისა და მაურისიო პელეგრინოს მხარდამხარ ითამაშებს.



პაბლო აიმარი ამიერიდან „ვალენსიაში“ ითამაშებს

აიმარმა, რომელიც არგენტინის ჩემპიონატის წინა სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს, „რივერ პლეიტში“ 1990 წლიდან ირიცხება, მანამდე კი შობლიურ ქალაქ რიო კუარტოს კლუბ „ესტუდიანტესის“ სკოლაში იზრდებოდა. ბუენოსაირესელთა რიგებში პაბლომ პირველი ოფიციალური მატჩი 1996 წელს, 16 წლის ასაკში ჩაატარა. ბოლო ორი სეზონია, გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერია, გამთამაშებლის პოზიციაზე თამაშობს და „რივერთან“ ერთად 1999 წელს აპერტურა (ჩემპიონატის პირველი წრე), ხოლო 2000 წელს კლაუსურა მოიგო.

საინტერესოა, რომ გუნდში ჩატარებულ 84 შეხვედრაში აიმარმა 22 გოლი გაიტანა, მათგან უმეტესი საჯარიმო დარტყმებიდან, რომლის უბადლო შემსრულებლადაც ითვლება.

ნიკა შუბლაძე

ბედისწერას ვერ გაექცნენ

სამი წლის წინ იამაიკის ნაკრებისა და ინგლისური მესამე დივიზიონის „ჰალ სიტის“ ბომბარდირი თეოდორ უითმორი საკუთარი მანქანით სერიოზულ ავარიაში მოჰყვა. მის გარდა მანქანაში ნაკრების სხვა ფეხბურთელები — დარენ ბრაუნი, სტივ მალკოლმი და უორენ ბარეტი ისხდნენ. დარენ ბრაუნი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო დანარჩენები იოლად გადარჩნენ. რამდენიმე თვის შემდეგ უითმორმა და მალკოლმმა იამაიკელთათვის პირველ, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშეს.

იმ უბედური შემთხვევიდან სამი წლის თავზე, გასულ კვირას, სტივ მალკოლმი მეგობარ ჩარლზ ევანთან ერთად ისევ უითმორის მანქანაში იჯდა და ამხანაგური მატჩის შემდეგ, რომელშიც იამაიკამ და ბულგარეთმა ფრედ, 0:0 ითამაშეს, შინ ბრუნდებოდა. ალბათ ჩქარობდნენ, რადგან ნაკრების მაისურებიც არ გამოეცვალათ.

ქალაქ მონტიეგო ბეისკენ მიმავალ მოყინულ გზაზე მანქანა მოსრიალდა და გადაბრუნდა. მალკოლმი თავში დაიჭრა და გარდაიცვალა, უითმორი და ევანი კი საავადმყოფოში წაიყვანეს. ექიმთა თქმით, მათი მდგომარეობა მძიმეა.

მალკოლმს სანაკრებო დებიუტი 1991 წელს ჰქონდა, სულ კი ქვეყნის პირველ გუნდში 76-ჯერ ითამაშა. მეგობრები სტივს „შორთის“ (მოკლე) ეძახდნენ, ერთ კვირაში იგი 31 წლისა გახდებოდა.

ზუსტად მეორე დღეს მექსიკაში კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიღუპა. იქაურ „პაჩუკაში“ მოთამაშე არგენტინელი პაბლო ერნან გომესი ცოლთან და ორ შვილთან ერთად კერეტაროდან პაჩუკაში ბრუნდებოდა. იდალგოს შტატის ჩქაროსნულ გზატკეცილზე 23 წლის ფეხბურთელმა საჭე ვერ დაიმორჩილა, ბორდიურს შეეჯახა, რის შედეგადაც მანქანა რამდენჯერმე გადაბრუნდა. გომესი და მისი მეულლე გარდაიცვალნენ, ბავშვები კი უვნებლად გადარჩნენ.

პაბლო გომესი „პაჩუკაში“ 1999 წლიდან თამაშობდა და ინვიეროს ჩემპიონატიც მოუგია. იქამდე ის სამშობლოში — „ურაკანში“, „ლას ერასში“, „უნიონ დე სანტა ფესა“ და „არგენტინოს ხუნიორსში“ გამოდიოდა.

უკანასკნელი მატჩი გომესმა სიკვდილამდე ერთი დღით ადრე ჩაატარა, რომელშიც „პაჩუკამ“ „ირაპუატოს“ 2:1 მოუგო.

გიორგი დარჯანია

REUTERS სურათიდან

იყიდეთ, იყიდეთ ჩქარა, თორემ...

15 დღეც და 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ბილეთების გაყიდვა დაიწყება, თუმცა კორეელებისა და იაპონელებისგან განსხვავებით, ჩვენ არსად გვეჩქარება — თუ სასწაული მოხდა და საქართველოს ნაკრები იქ მოხვდა, საჩვენო ბილეთებს ვერავინ წაგვართმევს.

რეკლამა კი, თქვენ წარმოიდგინეთ, მსოფლიოს ჩემპიონატის ბილეთებსაც სჭირდება, ამიტომაც გუშინწინ სეულში საორგანიზაციო კომიტეტმა ჩემპიონატის ოფიციალური პლაკატი წარადგინა და ხალხს რიგში ჩადგომისკენაც მოუწოდა.

საბერძნეთის ნაკრების მოთამაშე გიორგიოს ამანატიდისი ავტოავარიაში მოყვა. იგი სასწრაფოდ ჰოსპიტალში გაიყვანეს. ექიმები იუწყებიან, რომ საგანგაშო არაფერია. პირეოსის „ოლიმპიაკოსის“ 32 წლის მცველს მცირე მკურნალობა სჭირდება და ვარჯიშის განახლებასაც შეძლებს. აღსანიშნავია, რომ ამანატიდისი ამ უქმეებზე ფრანგული „ლიონის“ წარმომადგენლებს უნდა შეხვედროდა და თავის შესაძლო ტრანსფერზე გასაუბრებოდა.

ესპანური „ესპანიოლის“ ნახევარმცველი ენრიკე დე ლუკასი უახლოეს დღეებში ალბათ „პარი სენ ჟერმენთან“ გააფორმებს კონტრაქტს. ეს ფეხბურთელი კატალონიური კლუბით უკმაყოფილოა და წასვლას აპირებს. ისიც აღსანიშნავია, რომ წინა კვირაში პარიზულ გუნდში „ესპანიოლის“ კიდევ ერთი წევრი, არგენტინელი მაურისიო პოჩეტინიო ჩაირიცხა.

იტალიური „კალიარის“ პრეზიდენტმა მასიმო ჩელინომ განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს, ლონდონიდან სარდინიაზე ჯანფრანკო ძოლა დაბრუნოს. ფეხბურთელს „ჩელსისთან“ კონტრაქტი ზაფხულში უსრულდება და თავად მასაც არაერთხელ გაუმხელია, რომ „კალიარიში“ სურს კარიერის დასრულება. „ჯერჯერობით არ გადამიწყვეტია, ზაფხულში რას გავაკეთებ. არჩევანის საშუალება მაქვს, არც იმას გამოვრიცხავ, „ჩელსიში“ კიდევ დავრჩე“ — თქვა 34 წლის ძოლამ.

ინგლისურმა „ტოტენჰემმა“ „შეფილდ იუნაიტედის“ ფორვარდი ენდი ბუთი ინათხოვრა. 27 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც ბოლო ხანს ქრონიკული ტრავმები აწუხებდა და ამ სეზონში მხოლოდ სამი გოლის გატანა შეძლო, ლონდონურ კლუბში სადებიუტო მატჩი შესაძლოა ხვალ „ვესტ ჰემთან“ ჩაატაროს. „უენსდიში“ ბუთი 1996 წლიდან თამაშობს, შეფილდელებმა იგი „ჰადერსფილდისგან“ 2,7 მილიონ გირვანქად შეიძინეს. კლუბთან კონტრაქტი მას სეზონის ბოლოს უსრულდება. „ტოტენჰემის“ ხელმძღვანელთა განცხადებით, თუ ენდი თავს გამოიჩენს, მას უფრო ხანგრძლივი ვადითაც დაიტოვებენ.

იტალიის ჩემპიონი „ლაციო“ ქვეყანაში სატრანსფერო სეზონის დახურვამდე ორი ფეხბურთელის — თურქი დავალა უმითისა და რუმინელი კონსტანტინ გალკას ყიდვას აპირებს. თურქი ნახევარმცველი „გალათასარაის“ ღირსებას იცავს, როგორც იუწყებიან, სტამბოლური კლუბი მის სანაცვლოდ 5 მილიონ გირვანქას ითხოვს. რუმინელი გალკა კი „ესპანიოლში“ თამაშობს. კატალონიური კლუბი ახლა მცირე ფინანსურ კრიზისშია და გავრცელებული ინფორმაციით, შანსი აქვს, მის სანაცვლოდ 3 მილიონი გირვანქა მიიღოს.

ესპანური „რეალის“ ფორვარდ ხორხე ლობეს მარკოსის ანუ ტოტეს შეძენა „ნუმანსიას“ სურდა, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელმა მადრიდში დარჩენა არჩია. „ჩემი მიზანია, „რეალში“ დიდი ფეხბურთი ვითამაშო. უნდა მოვითმინო და ადრე თუ გვიან გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილიც დავიმკვიდრო. „ნუმანსია“ მართლაც მეპატიჟებოდა, მაგრამ მე უარი განვუცხადე“ — თქვა ტოტემ.

საფრანგეთის 21-წლამდელთა ნაკრებისა და „მონაკოს“ მოთამაშემ, დავიდ დი ტომასომ „სედანთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. როგორც იუწყებიან, კლუბები ამის თაობაზე დაახლოებით ერთ თვეს აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს. თუმცა ტრანსფერის ფინანსური დეტალები არ გაუმხელიათ.

ბელგიის ჩემპიონატის ორმა აუტსაიდერმა კლუბმა ამ უქმეების შემდეგ მწვრთნელი გაათავისუფლა. პირველობის ახალწვეულმა „ლუვიემ“, რომელიც ახლა ბოლო ადგილზეა, მარკ გროსიენი დაითხოვა და მის შემცვლელს უახლოეს დღეებში დაასახელებს. ბოლოსწინა ადგილზე მყოფმა „მეხელენმა“ კი ვალერე ბილენის ნაცვლად „ლიერსის“ ყოფილი ჰოლანდიელი თავკაცი ბარი ჰარსჰოფი დანიშნა. ბილენი „მეხელენს“ ნოემბრიდან ავარჯიშებდა, მაგრამ გუნდის კრიზისიდან გამოყვანა ვერ მოახერხა.

ჰოლანდიური კლუბები, „ფეიენოორდი“ და „გრონინგენი“, მოლაპარაკებებს თვეზე მეტხანს აწარმოებდნენ და საბოლოოდ შეთანხმდნენ — 24 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველი ლეონარდო დუშ სანტუშ სილვა ამიერიდან როტერდამული კლუბის ღირსებას ოფიციალურად დაიცავს. მანამდე ლეონარდო „ფეიენოორდში“ იჯარით თამაშობდა, თუმცა არც კონტრაქტის ვადა და არც ღირებულება არ გაცხადებულა.

ფრანგმა ფორვარდმა დავიდ ტრეზეგემ კვირას „ვიჩენცასთან“ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და „იუვენტუსს“ დაახლოებით ერთი თვით დააკლდება. ექიმების ცნობით, მას მეტოქესთან შეჯახებისას კუნთი დაუზიანდა. ტურინულ კლუბში კიდევ ოთხი დაშავებული მოთამაშეა: კონტე, ფონსეკა, ონილი და ძანკი. მწვრთნელ კარლო ანჩელოტის დიდი იმედი აქვს, რომ კაპიტანი ანტონიო კონტე მომავალ ტურში „ატალანტასთან“ თამაშს უკვე შეძლებს.

იტალიური „ინტერის“ ხელმძღვანელობას დიდი იმედი აქვს, რომ ამ კვირაში „პერუჯას“ ცენტრალურ მცველ მარკო მატერაცის გადაიბირებს. სავარაუდო სატრანსფერო თანხა 6 მილიონი გირვანქაა, მაგრამ მილანურ კლუბს კონკურენტებიც გამოუჩნდა — „იუვენტუსი“ და ინგლისური „ევერტონი“. „ინტერიდან“ სხვა სიახლეცაა: გუნდის სლოვაკ ნახევარმცველ ვრატისლავ გრეშკოს „სარაგოსაში“ ეპატიჟებიან. ესპანელები მილანელებს თხოვენ, რომ 23 წლის ფეხბურთელი დროებით იჯარით დაუთმონ.

ბერძნულმა „იანინამ“ ათი დღის წინათ დანიშნული მწვრთნელი ნიკოს კოვისი გაათავისუფლა. „კონტრაქტი შევწყვიტეთ, რადგან შეგატყვეთ, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა“ — განაცხადა კლუბის წარმომადგენელმა. აღსანიშნავია, რომ კოვისის დანიშვნის შემდეგ „იანინამ“ ზედიზედ სამი თამაში წააგო. მისმა წინამორბედმა გიორგიოს პარსიოსმა კი გუნდი ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო დატოვა. ამიერიდან მწვრთნელად საბერძნეთის ნაკრებისა და „ოლიმპიაკოსის“ ყოფილი ფორვარდი ნიკოს ანასტოპულოსი იმუშავებს.

ინგლისური „სანდერლენდის“ აღმასრულებელ შეფად ჰიუ რობერტსი დანიშნეს, ამ თანამდებობაზე მომუშავე ჯონ ფიკლინგი კი ამიერიდან დირექტორი იქნება. „გვსურს, კლუბის შემოსავალი კიდევ უფრო გავზარდოთ. აღნიშნული საკადრო რეფორმა ამ პროცესს დააჩქარებს“ — განაცხადა „სანდერლენდის“ თავმჯდომარემ ბობ მიურეიმ.

კოსტარიკელ ფორვარდ პაულო ვანჩოპეს „მანჩესტერ სიტი“ გაყიდვას უპირებს, რადგან სათასო მატჩის შემდეგ იგი მწვრთნელ ჯო როილს წაეჩხუბა, რატომ შემცვალეო. თავად ფეხბურთელის აგენტს დიდი იმედი აქვს, რომ კონფლიქტი მალე მოგვარდება და ვანჩოპეს „მეინ როუდის“ დატოვება არ მოუწევს. შეგახსენებთ, რომ პაულო „სიტიმ“ შარშან „ვესტ ჰემისგან“ 3,65 მილიონი გირვანქად შეიძინა, მას შემდეგ 24 წლის ფორვარდმა გუნდში 9 გოლი გაიტანა.

ფრანგულმა „ლანსმა“ „ლე ავრის“ მეკარე სებასტიენ პემელი შეიძინა. ამ კლუბის სარეზერვო გოლკიპერი სებასტიენ ბაშერი „მეცში“ გადავიდა და „ლანსმა“ შემცვლელად სწორედ 25 წლის პემელი შეიგულა. ამ მეკარემ შარშან მეორე დივიზიონში დაქვეითებული „ლე ავრის“ შემადგენლობაში 65 შეხვედრა ჩაატარა.



ფელიქს მაგათი

მაგათის აუხდენელი სურვილი

მწვრთნელის იმიჯი უცვლელი დარჩა

გერმანული პირველი ბუნდესლიგის კლუბი, ფრანკფურტის „აინტრახტი“ უმწვრთნელოდ დარჩა. ფელიქს მაგათი ბუნდესლიგის ისტორიაში 252 მწვრთნელი შეიქნა, რომელმაც თანამდებობა დატოვა. „აინტრახტის“ თავკაცი გასულ შაბათს არჩილ არველაძის „კიოლნთან“ განცდილმა მწარე მარცხმა შეიწირა — 1:5. მეხუთე გოლი ქართველმა ფორვარდმა გაიტანა.

იმ თამაშის შემდეგ მაგათმა შეგირდებს უთხრა, ხვალ დაისვენეთ და ზეგ დილით ვარჯიშზე გელითო, მერე ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა. „პირწმინდად დავმარცხდი, „კიოლნმა“ სირცხვილი გვაჭამა, თუმცა დარწმუნებული ვარ, კლუბის ხელმძღვანელობა კვლავაც ძველებურად შენდობა. წინ კიდევ დიდი დროა და მჯერა, საქმეს გამოვასწორებთ“ — განაცხადა „აინტრახტის“ თავკაცმა.

კვირას კლუბის პრეზიდენტმა პეტერ ფიშერმა საგანგებო თათბირი მოიწვია, რომელსაც მწვრთნელები არ დაასწრეს. იქ „აინტრახტის“ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს...

ორშაბათ დილით ფელიქს მაგათი ის-ის იყო, გუნდის საწვრთნელი ბაზის გზას უნდა დასდგომოდა, რომ მისი მობილური ტელეფონი აწკრიალდა, „აინტრახტის“ საბჭოს თავმჯდომარე სტევენ იედლიკი ურეკავდა. „ვწუხვარ, ფელიქს, მაგრამ უნდა გაცნობო, შეგიძლია, ვარჯიშზე აღარ მოხვიდე, გუნდიდან განთავისუფლებული ხარ“ — ჩაესმა მწვრთნელს.

ასე დასრულდა მაგათის ერა „აინტრახტში“, რომელიც არც ისე ხანგრძლივი აღმოჩნდა. იგი გუნდში 1999 წლის დეკემბერში მივიდა. ფრანკფურტელები მაშინაც მძიმე მდგომარეობაში იყვნენ, თამაშს თამაშზე აგებდნენ და გავარდნის უმთავრეს კანდიდატებად ითვლებოდნენ. კლუბის შეფებმაც იურგენ რიობერი გაუშვეს და მაგათი მიიწვიეს. ამ ნაბიჯმა გაამართლა. „აინტრახტი“ აღმავლობის გზას დაადგა და პირველ ბუნდესლიგაში ადგილიც შეინარჩუნა. მიმდინარე სეზონიც არ დაუწყიათ ცუდად ფრანკფურტელებს, მაგრამ... ბოლო ექვს მატჩში მაგათის აწ უკვე ყოფილ გუნდს ქულაც არ აუღია, „აინტრახტიც“ აუტსაიდერებში გაერია. მწვრთნელის გაშვება უფრო ამ ფაქტმა განაპირობა, ვიდრე ერთი კონკრეტული მატჩის თუნდაც 1:5 წაგებამ. არადა, მაგათის „აინტრახტთან“ კონტრაქტი 2003 წლამდე ჰქონდა, რომლის მიხედვითაც თვეში 110 ათას მარკას იღებდა.

„მინდა, მოკლევადიანი მწვრთნელის იმიჯი მოვიცილო“ — თქვა მაგათიმ 1999 წელს, როცა ფრანკფურტელებს ჩაუდგა სათავეში. არ გამოუვიდა. ფელიქსს „აინტრახტშიც“ იგივე ბედი ეწია, რაც ბრემენის „ვერდერსა“ თუ „ჰამბურგში“ მუშაობისას, კლუბი ხელშეკრულების დასრულებამდე დაატოვებინეს, რადგან მისი წარმატებები (წარმატება თუ ეთქმის) სამივე კლუბში ძალიან ხანმოკლე გამოდგა.

„აინტრახტის“ დაღმასვლა მაშინ დაიწყო, როცა ამას ყველაზე ნაკლებად ელოდნენ — ფრანკფურტელებმა „ბაიერნს“ 2:1 მოუგეს და მას შემდეგ ქულის ნატრულები არიან. რატომ? კლუბის ხელმძღვანელობას ამაზე პასუხი მზად აქვს. „მწვრთნელმა უცებ თქვა უარი ისეთ ფეხბურთელებზე, როგორებიც ფიორტოფტი, კუჩერა, ჩენ იანგი და სალუ არიან, შედეგიც შესაბამისი მიიღო“ — განმარტავს პრეზიდენტი. იედლიკი კი ამბობს, კლუბში ყველა ვმუშაობთ, მაგათი კი ჩვენს რიტმს ვერ აჰყვაო. თავად მწვრთნელს თუ მოვუსმენთ, მას ასეთი დამოკიდებულება არ დაუმსახურებია. „აინტრახტში“ რომ მივედი, საშინელი ვითარება დამხვდა, გუნდი მკვდარი იყო. მე მისი გამოცოცხლება შევძელი, თუმცა ეს, როგორც ვხედავ, ვერავინ დაინახა. ბოლო დროს ვგრძნობდი, რომ ფრანკფურტში დიდი ღღე აღარ მეწერა. აღარც ხელმძღვანელობა მიჭერდა მხარს, ამიტომ გასაგებიც იყო, თუ როგორ დამთავრდებოდა ყველაფერი“.

ღღეს მაგათი ფრანკფურტში უკვე აღარ არის. მან ჩემოდნები ჩაალაგა და მეგობარ ქაღ ნიკოლასთან ერთად ჰამბურგში დაბრუნდა, მშობლიურ ქალაქში, რომლის კლუბშიც თავისი ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერის დიდი ნაწილი გაუტარებია და ახლისის „დინამოს“ წინააღმდეგაც უთამაშია.

„აინტრახტში“ კი სულ მალე ახალი მწვრთნელი მივა. რამდენიმე კანდიდატს უკვე ასახელებენ: ვინი შეფერი, კლაუს ტოპმოლერი, ოტო რეჰაგელი. ამბობენ, არც მანფრედ კალცის დანიშვნა ან იურგენ რიობერის დაბრუნება იქნება გასაკვირი. ფავორიტი კი მაინც პირველი სამია, მათ გერმანულ ფეხბურთში საკმაო წონა აქვთ. თუმცა საკითხავია, დათანხმდებიან თუ არა ისეთ გუნდში მუშაობას, როგორიც ღღეს „აინტრახტია“.

ახალი მწვრთნელის ვინაობა სავარაუდოდ კვირის ბოლოს გაირკვევა. მანამდე კი გუნდს სპორტული დირექტორი როლფ ღომენი ავარჯიშებს, კვირას როსტოკის „ჰანზასთან“ მატჩშიც ის გაუძღვება „აინტრახტს“.

ვანო ოძროპირიძე

ოთხი მწვრთნელის საიდუმლო

ბერტი ფოგთსი: ძალა ერთობაშია

„21-ე საუკუნის დადგომასთან ერთად ლევერკუზენის „ბაიერშიც“ ახალი ერა დაიწყო“ — თვლის კლუბის ხელმძღვანელობა და ალბათ მართალიცაა. გუნდის სათავეში ბერტი ფოგთსის მისვლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. „სარბიელის“ მკითხველს იქნებ ახსოვს კიდეც, ფოგთსმა კლუბის უფროსობას საშწვრთნელო შტაბის გაზრდა რომ მოსთხოვა და თანხმობაც მიიღო.

პიერ ლიტბარსკი, ტონი შუმახერი და რაინერ როლფი — 1 იანვრიდან ფოგთსს სწორედ ეს სამეული ეხმარებ. გუნდის მომზადებაში. შედეგით ლევერკუზენელები უკვე აღფრთოვანებულნი არიან (ისე, ჯერ რა დროს ამაზე ლაპარაკია), რადგან გასულ კვირას „შტუტგარტი“ 4:0 გაანადგურეს. ბერტის, ლიტის, ტონისა და როლისაც (როგორც „ლევერკუზენის“ მწვრთნელთა შტაბს მოიხსენიებენ) სიხარულის მიზეზი მიეცათ.

„გუნდში ახალი დროება იწყება“ — ამბობს ფოგთსი და „შტუტგარტთან“ ასეთი წარმატების საიდუმლოსაც ამხელს.

„ეს ჩვენი, მწვრთნელის გამარჯვება იყო. ტაიმი 0:0 მორჩა. შესვენებაზე მწვრთნელებმა პატარა კონფერენცია მოვაწყვეთ. ყველამ თავისი აზრი გამოვთქვით, თითოეულმა ჩვენებურად გავარჩიეთ თამაში და გუნდის ტაქტიკაც ასე ავირჩიეთ. მატჩი განახლდა და 51-ე წუთზე 3:0-ს ვიგებდით“ — სიხარულს ვერ მალავს ბერტი.

მწვრთნელთა შორის სრული ჰარმონია სუფევს. „ჩვენ ხომ დიდი ხანია, ვიცნობთ ერთმანეთს“ — ასე ხსნის ამას პიერ ლიტბარსკი. ეს ერთსულოვნება ყველაზე კარგად ესპანეთში, კანარის კუნძულებზე გავლილი ამასწინანდელი შეკრებისას გ[illegible]ნდა. იქ ყველაფერი ჩინებულად ყოფილა. ფეხბურთელებიც უზომოდ კმაყოფილნი არიან.

სწორედ მწვრთნელთა შტაბის დამსახურებაა ის, რომ ჩვენ გვიხარია გუნდში ყოფნა“ — აცხადებს ულფ კირსტენი, რომელმაც ძველი, თავისი ბომბარდირობის დრო გაიხსენა და „შტუტგარტს“ ორი გოლი გაუტანა, თუმც ორივე პენალტით.

„ჩვენი მუშაობის ერთგვარი თავისებურებაა ისიც, რომ როცა რაიმე გადაწყვეტილებას ვიღებთ, იმასაც ვამბობთ, როგორ ვკობია, ვინ უნდა უთხრას ყოველივე გუნდს“ — ამბობს ლიტბარსკი.

12 მილიონ მარკად ღირებულმა ზე რობერტომ ბერტი ფოგთსისგან გაიგო, რომ ცუდ ფორმაშია და ამის გამო „შტუტგარტთან“ სათადარიგოთა სკამზე მოუწევდა ჯდომა. გუნდში ადგილის დაბრუნებისთვის კი ვარჯიშებზე თავდაუზოგავი შრომაა საჭირო.

შვეიცარიელ მეკარე პასკალ ცუბერბიულერს კი ტონი შუმახერმა ახარა ახალი ამბავი: „ცუბი, შენ გუნდის №1 მეკარე ხარ!“

„ლევერკუზენის“ ლიდერი მიხაელ ბალაკი ლიტბარსკიმ დამოძღვრა. „მწვრთნელებმა დიდი პასუხისმგებლობა დამაკისრეს. თან მითხრეს, რომ ლიდერობისთვის უკვე მზად ვარ. ისიც მირჩიეს, უმჯობესია, გუნდმა მინდორზე ორთაბრძოლებისას მეტი აგრესია გამოამჟღავნოს, რათა ყველა დუელი მოვიგოთო“ — აღნიშნა ბალაკმა ლიტბისთან საუბრის შემდეგ.

„ლევერკუზენს“ შემდეგი მატჩი კვირას ელის — „უნტერჰახინგთან“, გუნდთან, რომელმაც შარშან ბოლო ტურში ჩემპიონობა დაკარგვინა. მწვრთნელებს იმ შეხვედრაშიც დიდი წარმატების იმედი აქვთ, ეგ კი არა, ჩემპიონობაზეც რეალურად ფიქრობენ.

ისე, საინტერესოა, როდემდე იმუშავებს ოთხი მწვრთნელი ასე შეხმატკბილებულად.

ვანო ოძროპირიძე

ჰიცფელდმა ჭორი გაუყარა

ბოლო დროა, გერმანულ საფეხბურთო წრეებში ხმები დადის, ნაკრების ამჟამინდელ თავკაც რუდი ფიოლერს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მიუნხენის „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი შეცვლისო. გუშინ ამ საუბარს თავად ჰიცფელდმა ერთი განცხადებით ბოლო მოუღო.

ოტმარ ჰიცფელდი: დამშვიდდით, „ბაიერნში“ ვრჩები

„ცოტა ხნის წინ „ბაიერნის“ ხელმძღვანელობამ მაგრძნობინა, რომ ჩემთან კონტრაქტის გაგრძელება სურს. მინდა გითხრათ, რომ არც მე ვარ წინააღმდეგი. არ მიყვარს ერთი ადგილიდან მეორეზე სირბილი. დიდი შანსია, რომ მიუნხენურ კლუბთან ახალი ხელშეკრულება გავაფორმო. მოლაპარაკება უახლოეს მომავალში შედგება“ — განაცხადა ჰიცფელდმა.

აღსანიშნავია, რომ კლუბსა და მწვრთნელს შორის დადებულ ამჟამად მოქმედ კონტრაქტს ვადა 2003 წლის ივნისში გასდის. ამიტომ ცოტა გასაკვირიც კია, ორწლინახევრით ადრე ახალი ხელშეკრულების გაფორმება, თუმცა ამის მთავარი მიზეზი ალბათ ხელფასია.

რამდენიმე ღღის წინ გერმანულ პრესაში ერთი ცნობაც გამოჩნდა, რომლის თანახმადაც „ბაიერნი“ თითქოს მზად არის, თავისი მწვრთნელი ნებისმიერ მომენტში გაუშვას გუნდიდან. ამ ამბავს პასუხი გენერალურმა მენეჯერმა ული ჰაინესმა გასცა.

„ჩემს ნათქვამს არასწორი ინტერპრეტაცია მისცეს. მე გასაგებად ვთქვი, რომ ჰიცფელდის შენარჩუნება 2004 წლამდე გვსურს, ამის მერე მას მთელი ორი წელი ექნებოდა ნაკრების 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად“ — თავი იმართლა ჰაინესმა.

ჰიცფელდისთვის კონტრაქტის გაგრძელების სურვილი „ბაიერნის“ ვიცეპრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემაც გამოთქვა — „ოტმარ ჰიცველდი გუნდში 2003 წლის მერეც იმუშავებს, ჩვენი მიზანი ეს არის“.

შეგახსენებთ, ჰიცფელდი „ბაიერნში“ 1998 წლის ზაფხულში მივიდა. მანამდე იგი „დორტმუნდს“ თავკაცობდა და მიუნხენში ჩასვლამდე ერთი წლით ადრე ჩემპიონთა თასიც მოაგებინა. იგივეს მიღწევა ჰიცფელდს „ბაიერნშიც“ შეეძლო, მაგრამ ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედთან“, გემახსოვრებათ, ბოლო წამებში წააგო. ბუნდესლიგის ჩემპიონობას კი „ბაიერნს“ ბოლო წლებში ვერავინ ეცილება.

ვანო ოძროპირიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი კაცია ტედი

ტედი შერინგემი წლეულს „მანჩესტერ იუნაიტედში“ ჩინებულ სეზონს ატარებს. გადამწყვეტი გოლებიც გააქვს, თანაგუნდელებსაც კარგ პარტნიორობას უწევს. გამოცდილი კაცია და მინდორზე ყოველთვის ღირსეულია. პრემიერლიგის მესვეურთ ასეთი ფეხბურთელი არ გამოეპარებათ და რამდენჯერმე ლიგის თვის საუკეთესო მოთამაშედაც დასახელეს. თავად სერ ალექს ფერგიუსონის აზრი თუ გაინტერესებთ, იგი ამბობს, შერინგემი უთუოდ იმსახურებს წლის საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაზე წარდგენას და ეგებ გაიმარჯვოს კიდეც. აი, ასეთი კაცია ტედი.

ჰოდა, ამ ჩვენს შერინგემს სეზონის ბოლოს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კონტრაქტის ვადა ეწურება. „ოლდ ტრეფორდის“ ბინადართ ძლიერ სურთ, რომ 34 წლის ფეხბურთელი გუნდში კიდევ დატოვონ. საამისოდ ფაციფუცობენ კიდეც. როგორც იუწყებიან, შერინგემს ხელფასის გაზრდასაც შეჰპირდნენ — კვირაში 35 ათას გირვანქას მიიღებსო — ასეთი ხმებიც დაირხა.

„ტედის ჩვენთან დარჩენას სულ მცირე, ერთი წლით შევთავაზებთ, თუმც დიდი ფეხბურთის თამაში მას უფრო ხანგრძლივადაც შეუძლია. უბრალოდ, კონტრაქტის ყოველწლიურად განახლება უფრო ეფექტურია. იგი მართლაც გამორჩეულია. იანვრის ბოლოსთვის უკვე 18 გოლი გაიტანა. აშკარად დასაფასებელი შედეგია“ — ამბობს სერ ალექსი.

ისე, სანამ სეზონი დაიწყებოდა, შერინგემის „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ წასვლაზე საუბრობდნენ. მსურველ კლუბებსაც ბლომად ასახელებდნენ. ამას ისიც დაერთო, რომ „ოლდ ტრეფორდზე“ ახალი ფორვარდი უნდა მისულიყო, ჰოლანდიელი რუუდ ვან ნისტელროი, რომელიც ტრავმის გამო ინგლისში აღარ გადავიდა. შერინგემიც „მანჩესტერში“ დარჩა და წარმატებულადაც.

„ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ შერინგემს გუნდისთვის დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო. როცა ენდი კოულს და დუაიტ იორკს კარგი სეზონი ჰქონდათ და ტედიც შედარებით ჩრდილქვეშ იყო, მაშინაც მჯეროდა, რომ იგი თავის სიტყვას იტყოდა. იგი ყოველთვის ფორმაშია, ჭარბ წონას არ უჩივის, შეუძლია, შევიდეს მინდორზე და გადამწყვეტი გოლიც შეაგდოს“ — ეს ისევ ფერგიუსონის სიტყვებია.

ნიკა შუბლაძე

დელ პიერო დაამშვიდეს

გუშინდელ „სარბიელში“ გაოცებული ალესანდრო დე პიეროს სიტყვებს ამოიკითხავდით: „მეც და კასანოც ზუსტად ერთსა და იმავე პოზიციაზე ვთამაშობთ. ვიღაცამ ხომ უნდა ამიხსნას, თუ რატომ გადმოჰყავთ იგი „ბარიდან“. კარგი იქნება, თუ სეზონის ბოლომდე არ დავიცდით და ყველაფერი ახლავე გაირკვევა“.

გავიხსენოთ, რომ ტურინულმა კლუბმა „ბარის“ ამომავალ ვარსკვლავს, 18 წლის ანტონიო კასანოს დაადგა თვალი და დელ პიეროს შეშფოთებაც ამითაა გამოწვეული, ამ ბიჭს ჩემს შემცვლელად ხომ არ ამზადებენო.

ფეხბურთელს გაურკვევლობაში ყოფნა დიდხანს არ დასჭირდა. გუშინ „იუვენტუსის“ გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ მისთვის საამბელი რამეები ილაპარაკა.

მოჯიმ თქვა, კასანო ძალიან მაგარი ფეხბურთელია და დარწმუნებული ვარ, მომავალში დიდ ფეხბურთსაც ითამაშებს, მაგრამ საჩვენო არაა: „ახლა მის გამო დელ პიეროს სათადარიგოთა სკამზე არ დავსვამთ. არც კასანოს უთამაშებლობა ივარგებს — აღარ გაიზრდება, ამიტომ თუ ვინმე მის ყიდვას დააპირებს, შეუძლია მშვიდად იყოს, კონკურენციას არ გავუწევთ“.

იმას, რომ „იუვენტუსმა“ ანტონიო კასანოზე უარი თქვა, სხვა, უფრო სერიოზული მიზეზიც აქვს — „ბარიმ“ მასში 30 მილიონი დოლარი მოითხოვა. ამის პასუხად მოჯიმ კასანოს დიდ ფეხბურთელობაზე ადრე ნათქვამი დაივიწყა და მხრები აიჩეჩა, არ შეიძლება, 18 წლის ბიჭი ამდენი ღირდესო.

კასანოზე რომ ხელი ჩაიქნიეს, „იუვენტუსში“ დელ პიეროს ქებას მოჰყვნენ, ამისთანა ბაჯაღლო ოქრო არ გვყოლია და მის გადაბირებაზე ფიქრიც არავინ გაბედოსო.

ერთი საკითხიც. „ბებერი ქალბატონი“ არც კარლო ანჩელოტისთან აპირებს განშორებას. მოჯიმ თქვა, ამ კაცის ხელში გუნდი ძალიან კარგ შეეგვს, აჩვენებს და არანაირი საბაბი არ გაგვაჩნია, მისით უკმაყოფილო ვიყოთო.

ფაფუ ანუ მს რეკლამა „სარბიელში“ აღარ იქნება

სამაგიეროდ ჩვენს მაღაზიაში ყოველთვის იქნება მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელი თოჯინები

Rivaldo
Brazil
COLLECTOR NUMBER: PRO151

Romario
Brazil
COLLECTOR NUMBER: PRO046

Dwight Yorke
Manchester United
COLLECTOR NUMBER: PRO033

Angelo Peruzzi
Italy
COLLECTOR NUMBER: PRO062

COMING SOON

ზიდანი, რაული, ბმრხკამპი, ლუის მნრიკე, ჟინოლა, ბარტეზი, გვაჯდიოლა, მალდინი, სიმონი, ქანეტი, ჰასელბენკი... AND MOORE



კარბი ტეფალი

ვაკე

ჭავჭავაძის 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუმინელებმა თბილისიდან თასი კი წაიღეს, მაგრამ შინ ვეღარ მოუბრუნდნენ

დაკარგეს და ვერსად ჰპოვეს

რუმინელებს თბილისში მოპოვებული ევროპის ერთა თასი ცხვირწინ აცალეს

არგენტინაში, მარ დელ პლატაში დასრულებულ შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს თასის ფინალური ტურნირიდან ქართველმა მორაგბეებმა ჰოლანდიას მიაშურეს. 4 თებერვალს ევროპის ერთა თასის მეორე გათამაშება იწყება და ჩვენებურებს პირველ მატჩში სწორედ ჰოლანდიელებთან მოუწევთ გაჯიბრება. ვიდრე „ბორჯღალოსნებზე" უფრო წვრილად მოგითხრობდეთ, მანამდე ერთ ამბავს გიამბობთ, რომელიც რუმინეთის სარაგბო ნაკრებს გადახდა თავს. გეხსომებათ, შარშან ევროპის ერთა თასის პირველი გათამაშება გაიმართა. გადამწყვეტ მატჩში რუმინეთმა თბილისში საქართველოს ნაკრები დაამარცხა და საგანგებოდ ამ ტურნირისთვის დამზადებულ თასს დაეპატრონა.

ერთა თასის მეორე გათამაშება აგერ, ოთხ თებერვალს იწყება და კარს მომდგარი ტურნირისთვის რუმინელებმა თასი მოიძიეს, მაგრამ... თუ რა მოხდა, მოდით, ამაზე რუმინეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტ დუმიტრიუ მიხალჩეს მოვუსმინოთ: „თასი კავშირის ოფისიდან გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა. ყველა ჩვენი ცდა, თასისთვის მიგვეკვლია, ამაო გამოდგა. ჩემთვის გაუგებარია, ვის რაში დასჭირდა მისი მოპარვა, ის ხომ არანაირ ნივთიერ ფასეულობას არ წარმოადგენს. მინდა, თხოვნით მივმართო ყველას, ვისაც რაიმე დახმარება შეუძლია გაგვიწიოს, ეს თასი რუმინეთის რაგბის ისტორიის საგანძურია და მისი დაკარგვა ჩვენი ხალხის სირცხვილი იქნება".

ძნელი სათქმელია, მიაკვლევენ თუ არა თასის ადგილსამყოფელს რუმინელები, მაგრამ თადარიგი აქედანვე დაიჭირეს და რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) თხოვნით მიმართეს, ათას ამერიკულ დოლარს ჩამოვდივართ, ოღონდ სირცხვილი არ გვაჭამოთ, ტურნირის დაწყებამდე ეგებ თასი დაგვიმზადოთო. რას უპასუხებს IRB რუმინელებს, ჯერ უცნობია, თუმც არა გვგონია, უმაღლესმა სარაგბო ორგანიზაციამ რუმინელები გააწბილოს. მოდით, რუმინელთა პრობლემებზე საუბარი ამით დავასრულოთ და კვლავ ჩვენებურებზე ვთქვათ. ერთა თასზე საქართველოს ნაკრებმა შარშანაც ითამაშა და საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავა, არადა ბოლო მატჩამდე საქმე ისე იყო, „ბორჯღალოსნებს" თასის მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ „ეროვნულზე" რუმინეთის ნაკრებთან ვერაფერი გააწყვეს და წინ ესპანეთიც გაუშვეს.

წლევანდელი ტურნირი მისი წინამორბედისგან განსხვავებით, სახეშეცვლილია. იგი ორ წრედ ჩატარდება და იმავდროულად 2003 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირიცაა. ჯგუფის ორი საუკეთესო გუნდი 2002 წლის შემოდგომაზე მსოფლიოს თასის შესარჩევი მეოთხე ეტაპიდან ჩაებმება და უფრო სუსტ გუნდებთან შინ ერთადერთი მატჩის მოგება ეყოფა ჩემპიონატზე გასამგზავრებლად. და კიდევ, შარშან უკონკურსოდ მონაწილე მაროკოს ნაცვლად ჩვენებურებს ამ ბოლო დროს მომძლავრებულ რუსეთის ნაკრებთან სტუმრად მოუწევთ გაჯიბრება. ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ამიერიდან ერთა თასის სრულუფლებიანი წევრი იქნება.

საქართველოს რაგბის კავშირის ნაკრებ გუნდებთან მუშაობის კოორდინატორმა გია ჭუმბურიძემ საზოგადოებას იმ მორაგბეების ვინაობა გაანდო, რომლებსაც ეროვნული და შვიდკაცა ნაკრებების მთავარი მწვრთნელი კლოდ სორელი კარსმომდგარ ევროპის ერთა თასზე სათამაშოდ უხმობს. ნაკრების სრული შემადგენლობა ამპლუასა და ნომრის მიხედვით ასეთია:

ბაჩო სვანიძე

ძირითადი შემადგენლობა

ფორვარდები

1. გოდერძი შველიძე; 2. აქვსენტი გიორგაძე; 3. ლევან ცაბაძე; 4. ზურაბ მჭედლიშვილი (კაპ); 5. სოსო პარწიკანაშვილი; 6. ვასილ კაცაძე; 7. გია ლაბაძე; 8. ილო ზედგენიძე

ბეკები

9. შოთა მოდებაძე; 10. პალიკო ჯიმშელაძე; 11. მალხაზ ურჯუკაშვილი; 12. კახა ალანია; 13. გიორგი ბუგიანიშვილი; 14. ბადრი ხეხელაშვილი; 15. ბესიკ ხამაშურიძე

სათადარიგონი

ფორვარდები

16. ტარიელ რატიანიძე; 17. სოსო ნიკოლაენკო; 18. ვანო ნადირაძე; 19. დავით ბოლღაშვილი

ბეკები

20. ირაკლი აბუსერიძე; 21. თედო ზიბზიბაძე; 22. ვასილ აბაშიძე

ევროპის ერთა თასი 2001-2002

პირველი წრე

4 თებერვალი

ჰოლანდია — საქართველო ამსტერდამი

ესპანეთი — რუსეთი მადრიდი

პორტუგალია — რუმინეთი ლისაბონი

18 თებერვალი

საქართველო — პორტუგალია თბილისი

ჰოლანდია — რუსეთი ამსტერდამი

ესპანეთი — რუმინეთი სევილია

4 მარტი

რუსეთი — საქართველო კრასნოდარი

რუმინეთი — ჰოლანდია კონსტანცა

ესპანეთი — პორტუგალია ვალიადოლიდი

18 მარტი

საქართველო — ესპანეთი თბილისი

რუმინეთი — რუსეთი ბირლადი

პორტუგალია — ჰოლანდია ლისაბონი

8 აპრილი

რუმინეთი — საქართველო ბუქარესტი

რუსეთი — პორტუგალია კრასნოდარი

ჰოლანდია — ესპანეთი ამსტერდამი

ფრანგების ჭკუით და ინგლისელების ფულით

ევროპის თასი

მეოთხედფინალი

„კინგსჰოლმი". გლოსტერი.
27 იანვარი. 10 800 მაყურებელი

გლოსტერი (ინგლისი)	**21**
კარდიფი (უელსი)	**15**

გლოსტერი: 7ს — მანიქსი (6), ჰეივორდი
კარდიფი: 2ლ — უოლნი, გ. ტომასი; 1გ და 1ს — ნ. ჯენკინსი
მსაჯი: ჟიუდეი (საფრანგეთი)

„სტად ჟან-ბუენი". პარიზი.
27 იანვარი. 10 000 მაყურებელი

სტად ფრანსე (საფრანგეთი)	**36**
პო (საფრანგეთი)	**19**

სტად ფრანსე: 3ლ — პულენი, ლოსიუკი, კომბა; 3გ, 3ს და 2ა — დომინგესი
პო: 1ლ —პაიე; 1გ 3ს და 1ა — ოკანი
მსაჯი: ვიტპაუზი (უელსი)

„უელფორდ როადი". ლესტერი.
28 იანვარი. 14 000 მაყურებელი

ლესტერი (ინგლისი)	**41**
სუონსი (უელსი)	**10**

ლესტერი: 4ლ — ჰილი, გუდი, მერფი (2); 3გ და 4ს — სტიმპსონი; 1ა — გუდი
სუონსი: 1ლ — მორიარტი: 1გ — რიისი; 1ს — ე. ტომასი
მსაჯი: ლუისი (უელსი)

„თომონდ პარკი", კორკი.
28 იანვარი, 13 300 მაყურებელი

მანსტერი (ირლანდია)	**38**
ბიარიცი (საფრანგეთი)	**29**

მანსტერი: 3ლ — ფოლი; 1გ და 7ს — ოგარა
ბიარიცი: 4ლ — ბონე, მილერი (2), ლეგი; 3გ და 1ს — ბოტიკა
მსაჯი: მორისონი (ინგლისი)

Heineken Cup

ამ უქმეებზე მორაგბეთა ევროპის თასის მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა და ოთხი საუკეთესო გუნდიც გაირკვა. ექვსი ერის პირველობის დაწყების გამო საკლუბო რაგბის უმთავრესი ევროტურნირი აპრილამდე (21-22) დაგვეშვიდობა. ხოლო თუ ვინ ვის შეხვდება, 7 თებერვალს დანიშნული კენჭისყრა გაარკვევს. აქვე გეტყვით, რომ ნახევარფინალები ნეიტრალურ მოედანზე (ოღონდ არაა აუცილებელი ნეიტრალურ ქვეყანაშიც) გაიმართება, თანაც სტადიონთა ტევადობა მინიმუმ 20 ათასი მაინც უნდა იყოს.

ახლა კი თავად მეოთხედფინალურ მატჩებზე ვთქვათ.

თავის ისტორიაში ევროპის თასის ნახევარფინალში პირველად გააღწია ინგლისურმა „გლოსტერმა", რომელმაც თავისი ახალზელანდიელი გარე ნახევარმცველის საიმონ მანიქსისა და მისი შემცვლელის ბაირონ ჰეივორდის შვიდი საჯარიმოს წყალობით უელსურ „კარდიფს" სძლია.

ფრანგი ფილიპ სენტ-ანდრეს მიერ გაწვრთნილმა და შოტლანდიელი ბიზნესმენის, ტომ უოლკინშოუს მიერ დაფინანსებულმა გუნდმა მთელი მატჩის მანძილზე არ დათმო ინიციატივა და თავიდანვე დაწინაურდა. პირველ ტაიმში მეტოქეებმა ქულები მხოლოდ საჯარიმოებით მოიპოვეს. ამ საქმეში მანიქსის მეტოქე მსოფლიოს რაგბის ისტორიაში ყველაზე შედეგიანი ნილ ჯენკინსი იყო. ამის მიუხედავად, დამრტყმელთა დუელში სამხრეთნახევარსფეროელმა იმარჯვა და მოწინააღმდეგეზე სამჯერ მეტი საჯარიმოს გატანით თავის გუნდს სამჯერ მეტი ქულა მოუტანა — 9:3.

თამაშის განახლებიდან სამიოდ წუთის შემდეგ სტუმრებს თამაშის ბედის შემოტრიალების შანსი მიეცათ. უელსელთა გარემარბმა ნიკ უოლნმა შეხვედრის პირველი ლელო გაიტანა, მაგრამ ჯენკინსს გარდასახვა გაუცუდდა და „კარდიფმა" დაწინაურება მაინც ვერ შეძლო. მერე კი ისევ მანიქსმა იძალა, ერთი ჰეივორდმაც შეაგდო და მსაჯის მიერ წამატებულ დროში სტუმართა მეორე ფრთის, გარეტ ტომასის მიერ გატანილ ლელოს მხოლოდ პრესტიჟისა დაერქვა.

პარიზში ფრანგული დერბი გაიმართა. მართალია, „სტად ფრანსემ" „პოს" დამარცხება შეძლო, მაგრამ მისი თამაში ერთი კვირით ადრე „სუონსის" ძლევასას ნაჩვენებ თამაშთან ახლოსაც ვერ მივიდოდა. ალბათ, დაღლილობის ბრალი იყო. ყოველ შემთხვევაში, პოელებს მოგების შანსი ნამდვილად ჰქონდათ. ბეარნელებმა უბრალოდ პარიზელთა დაცვის ბოლო ხაზის გარღვევა ვერაფრით მოახერხეს. პირველი ტაიმის უმეტესი ნაწილი „პოს" კარნახით წარიმართა, მაგრამ შესვენებისას წინ მაინც „სტად ფრანსე" იყო — 17:10. პულენისა და ლოსიუკის ლელოებს შორის თავის გამოჩენა კრისტოფ პაიემაც შეძლო, რომელმაც პარიზელთა დაცვის ლამის ერთადერთი შეცდომით იხეირა.

მეორე ტაიმში გუნდების შეტევათა უმეტესობა ხელით უხეირო თამაშის გამო იშლებოდა. მთელი 40 წუთის განმავლობაში მხოლოდ დიეგო დომინგესი და დავიდ ოკანი გამოირჩეოდნენ. დანარჩენები მეტად უნიათოდ ირჯებოდნენ და მხოლოდ მსაჯის მიერ წამატებულ დროში დაალელოვეს პარიზელებმა პოელები, რითაც ლამის ჩაძინებული მაყურებელი გამოაფხიზლეს.

მეოთხედფინალებიდან ყველაზე დაძაბული და თანაბარი ბრძოლა მანსტერში გაიმართა, სადაც „ბიარიცი" სტუმრობდა. ირლანდიელებმა მეტოქეს მისალმებაც არ აცალეს, ისე ეკვეთნენ. მათი ერთ-ერთი პირველი შეტევა ფრანგთა თამაშგარე მდგომარეობით და რონან ოგარას პირველი ზუსტი საჯარიმოთი დასრულდა. თუმცა ბიარიცელები არაფრის დათმობას არ აპირებდნენ. ბასკური არმადა ირლანდიელთა დაცვის ჯებირს მიაწყდა და მალეც გაარღვია. ინგლისელმა ლეგიონერმა სტიუარტ ლეგმა სამი მცველი ჩამოიშორა, ბურთი კრისტოფ მილერს მიაწოდა და შეხვედრის პირველი ლელოც გავიდა, რომელიც ფრანო ბოტიკამ გარდასახა.

ირლანდიელთა პასუხმაც არ დააყოვნა. მათი მრავალფაზიანი შეტევა სამმეოთხედელმა ენტონი ფოლიმ დააგვირგვინა, თუმცა მალე ლეგმაც დაალელოვა მეტოქე და ისევ სტუმრები დაწინაურა — 12:8. მერე გუნდებმა თითო საჯარიმოც გაცვალეს. ტაიმის მიწურულს კი კელტების უპირატესობა გამოიკვეთა და ოგარამ კიდევ 6 ქულა მოუტანა თავისიანებს. შედეგად ტაიმი მასპინძლებმა მოიგეს — 17:15.

შესვენების შემდეგ ისევ ფრანგებმა შეუტიეს, მაგრამ ბურთი რამდენჯერმე დაკარგეს, რითაც ირლანდიელებს კონტრიერიშების განხორციელების შესაძლებლობა მისცეს. ფოლიმაც 47-ე წუთზე დუბლი შეასრულა, ოგარა ისევ ზუსტი იყო გარდასახვისას და 24:15. 59-ე წუთზე დენი ავრილმა ყვითელი ბარათი დაიმსახურა და „ბიარიცი" 10 წუთით უმცირესობაში დატოვა. ჰოდა, ოგარამ და ფოლიმ საჯარიმოთი და ლელოთი ფაქტობრივად გაუნაღდეს გამარჯვება „მანსტერს".

მატჩის მიწურულს ბიარიცელები ისევ გაშმაგდნენ და 79-ე წუთისთვის ანგარიშში სხვაობა ექვს ქულამდეც შეამცირეს. ნახევარფინალამდე ერთი გარდასახული ლელოღა რჩებოდა, მაგრამ სტუმრებს ისევ ოგარამ გადაასხა ცივი წყალი თავისი მეშვიდე საჯარიმოთი — 38:29.

ინგლისის ჩემპიონმა და ევროპის თასის 1997 წლის ფინალისტმა „ლესტერმა" ყველაზე იოლი გამარჯვება მოიპოვა. უელსელთა განადგურება ინგლისელებმა თავიდანვე დაიწყეს და მოწინააღმდეგეს პირველივე ტაიმში მოუღეს ბოლო — 19:3. მეორე ტაიმში სტუმრებს გაფრთხილებების გამო ორი მორაგბე გამოაკლდათ 10-10 წუთით და მთლად წახდნენ. თუმცა მათ პრესტიჟის ლელოს გატანა მაინც მოახერხეს, რომელიც პოლ მორიარტის ანგარიშზეა.

ასე რომ, ორ დღეში ორმა ინგლისურმა კლუბმა ორ უელსურს აჯობა და ექვსი ერის პირველობის პირველ ტურში კარდიფში უელსელებს რევანშის აღების საშუალება მიეცემათ.

გაგი გურული

AP პარიზიდან

სტად ფრანსე — პო. სტუმარი ალენ ლაგუარდი ფრანკ კომბას შეჩერებას ლამობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ფოსტალიონი მისამართს იცვლის



AP მინეაპოლისიდან

მინესოტა — მილუოკი. მინესოტელი კევინ გარნეტი (მარცხნივ) და გლენ რობინსონი

29 იანვარი

ვანკუვერი 97:86 ნიუ ჯერსი

ვანკუვერი: ბიბი (14 ქულა, 12 პასი), დიკერსონი (24), აბდურ-რაჰიმი (24 ქულა, 11 მოხსნა), ჰარინგტონი (5), რივზი (8); ჯონსი (5), ლონგი (7), სვიფტი, ოსტინი
ნიუ ჯერსი: მარბერი (19 ქულა, 11 პასი), ჰარისი (7), ვან ჰორნი (3), მარტინი (19), ვილიამსი (13); ნიუმენი (12), ეშმეიერი (8), დუგლასი (3), ჯეკსონი (2)

აი, ასე „ვანკუვერთან" უსახელო მარცხით დასრულდა „ნიუ ჯერსის" ხუთმატჩიანი გასვლითი ტურნე. „ბადეთა" მწვრთნელი ბაირონ სკოტი იმედოვნებდა, რომ მისი გუნდი წაგებათა სერიას ვანკუვერში მაინც დაასრულებდა...

„რა უნდა ვთქვა? ამ ბიჭებმა უბრალოდ არ იციან, როგორ მოიგონ" — ამბობდა სკოტი ნამატჩევს. ისე კი, ეს ღირსეული კაცი ყოველი მარცხის შემდეგ კენწლავს შეგირდებს, ამასობაში კი „ნეთსი" თამაშს თამაშზე აგებს. აგერ ზედიზედ მეხუთედ შერცხვნენ, ამასთან, ისეთ გუნდთან, რომელსაც ბოლო შვიდი შეხვედრა არ მოუგია და თავისი დივიზიონის ცხრილის ფსკერის მუდმივი ბინადარია, ასე განსაჯეთ, დაარსების დღიდან, ანუ 1995 წლიდან.

ამ მარცხში თანაბარი წვლილი მიუძღვით როგორც „ნიუ ჯერსის" მოთამაშეებს, ასევე მარად მათ მაძაგებელ დამრიგებელს. წინა ორ შეხვედრაში ჩემპიონ „ლეიკერსთან" და „სიეტლთან" რიგიანი თამაშით შეგულიანებულმა „ბადეებმა" ეს მატჩი საკუთარ თავში დარწმუნებულებმა დაიწყეს და „დათვებს" საწყის მეოთხედში სისხლი გაუშრეს. „ნეთსს" პირველ ნახევარში ყველაფერი გამოსდიოდა, სტუმრებს პირველი 13 სროლიდან ერთიც არ აუცდენიათ, განსაკუთრებით ახალბედა, 2000 წლის დრაფტის პირველი ნომერი კენიონ მარტინი ყოჩაღობდა. მან აშკარად დაჩაგრა მეურვე ოტელა ჰარინგტონი და დრაფტში მის შემდეგ მეორე ნომრად არჩეული სტრომილ სვიფტიც არ დაინდო. დაცვაც სანაქებოდ მუშაობდა, „დათვები" ხშირად ებმებოდნენ „ბადეთა" მახეში და ყოველივე ამან პირველივე მეოთხედში გამოიღო ნაყოფი.

„ნეთსმა" საწყისი თორმეტწუთეული უზარმაზარი უპირატესობით, 35:14 მოიგო. სტუმრები მეორე ნახევარშიც ასე თუ ისე რიგიანად ირჯებოდნენ და ერთი ხანობა 23 ქულითაც დაწინაურდნენ, ტაიმი კი 19 ქულის სხვაობით მოიგეს, რის შემდეგაც თითქოს არ უნდა გასჭირვებოდათ შეხვედრის სასურველი შედეგით დასრულება. მაგრამ მეორე ნახევარში მცირე სასწაული მოხდა, თუკი „ნიუ ჯერსის" უხეირო თამაშს შეიძლება სასწაული ეწოდოს.

19 ქულიანი უპირატესობა სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ნიუჯერსელებს თავი ქუდში ეგრძნოთ და მატჩის სადავეები მასპინძელთათვის გადაეცათ. „დათვებიც" ძილბურანიდან გამოერკვნენ, სტუმარი „ბადეები" ერთიანად დაგლიჯეს და მესამე მეოთხედის შემდეგ ოდენ შვიდი ქულით თუ ჩამორჩებოდნენ მეტოქეს. აირია „ნიუ ჯერსი", პირველ ტაიმში მოპოვებული უპირატესობა სულ იოლად გაფლანგა და როცა ზურგსუკან „დათვების" სუნთქვა იგრძნო, შეღრკა. მათი ბანაკი სრულმა პანიკამ მოიცვა. „ვანკუვერსაც" მეტი რა უნდოდა. მაიკლ დიკერსონმა, რომელმაც პირველი ნახევარი ოთხი ქულით დაასრულა, მეორეში კი ერთბაშად 20 ქულა მოიმკო, თავისიანთა შეტევების გაძღოლა ითავა და სულ მოუთავა ხელი დაზაფრულ სტუმრებს. ბოლო მეოთხედი „ვანკუვერმა" 32:14 მოიგო. სულ „ნიუ ჯერსიმ" მეორე ტაიმში 27 ქულა გააკეთა, რვით ნაკლები, ვიდრე პირველ მეოთხედში. ეს თამაში კი „ვანკუვერის" ისტორიაში სამუდამოდ შევა. „გრიზლიზს" არსებობის მანძილზე არ მოუგია ის შეხვედრა, რომელშიც 23 ქულით აგებდა. „ამ თამაშში ჩვენ დავკარგეთ ყველაფერი, რაც წინა ორში მოვიპოვეთ. უკვე აღარ ვიცი, რა ვაკეთო, არ ვიცი, რა გველის წინ. რაიმე უნდა შევცვალოთ, მაგრამ რა, წარმოდგენა არ მაქვს. ყველა ლოგიკით, ეს მატჩი უნდა მოგვეგო, მაგრამ ბიჭებმა იმდენი მოახერხეს, მაინც წააგეს" — ამბობდა სკოტი ნამატჩევს.

ამ შეხვედრაში წუთიც არ უთამაშია „ნიუ ჯერსის" ქართველ ცენტრ ვლადიმერ სტეფანიას. „ნიუ ჯერსში" გადაბარგებამდე ვოვას ზედიზედ სამი თამაში არ გამოეტოვებინა. ეს კი სწორედ მიყოლებით მესამე მატჩი გახლდათ, რომელშიც ქართველი მოედანზე საერთოდ არ გამოჩენილა. არაა გამორიცხული, ვოვას მცირე ტრავმა აწუხებდეს.

მომდევნო შეხვედრას „ნეთსი" 31 იანვარს შინ არცთუ ძლიერ „დეტროიტთან" გამართავს და შეეცდება, საკუთარ კედლებში მაინც მიაღწიოს მიზანს.

დენვერი 94:97 იუტა

დენვერი: ვან ექსელი (21), მაკდაიესი (18 ქულა, 13 მოხსნა, 7 დაფარება)
იუტა: მელოუნი (30)

კლიპერსი 67:96 სან ანტონიო

კლიპერსი: ოდომი (15)
სან ანტონიო: დანკანი (16)

გოლდენ სტეიტი 85:93 შარლოტი

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (31 ქულა, 11 მოხსნა), ჰიუზი (19 ქულა, 11 მოხსნა)
შარლოტი: მაშბურნი (27), კემპბელი (15 ქულა, 12 მოხსნა)

მინესოტა 99:96 მილუოკი

მინესოტა: გარნეტი (29 ქულა, 18 მოხსნა), ბრენდონი (20 ქულა, 16 პასი)
მილუოკი: რობინსონი (25), ალენი (24), ტომასი (18)

ატლანტა 82:95 ფინიქსი

ატლანტა: ტერი (22)
ფინიქსი: მარიონი (25 ქულა, 12 მოხსნა), რობინსონი (18)

ბოსტონი 99:87 დეტროიტი

ბოსტონი: პირსი (28), უოლკერი (27)
დეტროიტი: ეტკინსი (20)

ვაშინგტონი 95:89 კლივლენდი

ვაშინგტონი: ჰოვარდი (24)
კლივლენდი: ჯეკსონი (14)

შუა დასავლეთის დივიზიონის კვლავაც ლიდერ „იუჯა ჯაზს" დენვერში დიდი ბრძოლა გადახდა ახალგაზრდულ „ნაგითსთან". „დენვერი" სეზონს კარგად ატარებს და დასავლეთის რვა საუკეთესოს შორის, შესაბამისად, პლეი ოფში მოხვედრას ლამობს. ასე რომ, მეტოქეებს ამ კერკეტ გუნდთან ბევრი ოფლის ღვრა უხდებათ, მით უმეტეს დენვერში, სადაც „ნაგითსი" იშვიათად აგებს. ბებრულ „იუტასაც" დიდი ჯაფა დაადგა, თუმც კარლ მელოუნის თავგამოდებამ თავისი გააკეთა. 37 წლის, მაგრამ ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე „ფოსტალიონმა" 30 ქულა მიითვალა და სამით მეტი რომ გაეკეთებინა, კარიერაში დაგროვილ ქულებს 32 ათასამდე გაზრდიდა. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ამპლუით წმინდა თავდამსხმელმა თავისი ყოველდღიური სამუშაო, ფარქვეშ ჯაჯგური და სივრცეებიუ გამოთავისუფლება, ანუ ის, რასაც მთელი 16 წლის განმავლობაში ასრულებდა, დაივიწყა და მისთვის ესოდენ უჩვეულო ფრთის ამპლუაში მოვლინა მეტოქეს. ფარს მოშორებულმა მელოუნმა თამაში ოდენ ხუთი მოხსნით დაასრულა, რამაც საშუალება მისცა „დენვერის" თავდამსხმელს, ანტონიო მაკდაიესს ფარქვეშთის სრული ბატონ-პატრონი გამხდარიყო. სამაგიეროდ, „ფოსტალიონი" ფარსგარედან ბომბავდა მეტოქის კალათს და თუ შესაძლებლობა ეძლეოდა, გარღვევებზეც მიდიოდა. აკი რვა ქულა სწორედ სწრაფ პირველ შეტევაში მიითვალა, ამან კი საგონებელში ჩააგდო „დენვერი", რომელიც მელოუნთან ფარქვეშ ჯაჯგურს ელოდა. შედეგად კი „იუტამ" სახეცვლილი ტაქტიკის წყალობით პირველი მეოთხედი 26:13 მოიგო და უპირატესობა ხელიდან აღარც გაუშვია.

მას შემდეგ, რაც ზედიზედ ოთხი მატჩი წააგო და შუა დასავლეთის დივიზიონში პირველობა „იუტას" გადაულოცა, „სან ანტონიო სფურზი" თანდათან გონს მოდის და „კუთვნილი" ლიდერობის დაბრუნებას ლამობს. მართალია, „დეზებმა" „კლიპერსი" გაანადგურესა, მაგრამ გულზე ხელდაკრეფილი ხომ არც „იუტაა". ასე რომ, ექსჩემპიონებს ცხრილის მეორე საფეხურზე ყურყუტი უწევთ. ისე კი, „სფურზის" ლიდერ ტიმ დანკანს რომ დავეკითხოთ, მას და მის თანაგუნდელებს ეს ნაკლებად აღელვებთ. დანკანმა და სხვებმა უხეირო „კლიპერსს" პირველივე ნახევარში მოუთავეს ხელი, როდესაც 49:28 იმარჯვეს. მეორე ნახევარში კი „კლიპერსი" „სფურის" სათადარიგოებმა დაჯაბნეს.

„იუტას" და „სან ანტონიოს" დივიზიონში პირველობის ერთი მოცილე გამოუჩნდათ — „მინესოტა ტიმბერვულვზე", რომელმაც „მილუოკის" ძლევით ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება იზეიმა. „მილუოკიმ" კი ზედიზედ რვა მოგებას მეორე მარცხი მიაყოლა. ძლიერი უკანა ხაზით და არაფრის მაქნისი მაღლებით ცნობილ „მილუოკის" გვარიანი ჯაფა დაადგა 211-სანტიმეტრიანი კევინ გარნეტის შესაჩერებლად, ამასთან, სტუმრებმა უკანა ხაზშიც დიდი დანაკლისი განიცადეს: ვერცხლისწყალივით მოძრავი სემ კასელი აკლდათ, რამაც მასპინძელთა გამთამაშებელ ტერელ ბრენდონს „ბაქსის" კალათისკენ გზა გაუკვალა. ბრენდონი თავადაც უტევდა და არც თანაგუნდელთ აკლებდა პასებს, აკი მოაგროვა კიდეც კარიერაში ყველაზე ბევრი, 16 პასი, რამაც მასპინძლებს ხელი წააშველა, თუმც „მინესოტას" იოლი გასეირნება მაინც არ გამოუვიდა. „მილუოკი" ბოლო მეოთხედში რვა ქულას იგებდა და მის ლიდერს, რეი ალენს ბოლო წამებზე სამქულიანი რომ ჩაეგდო, მასპინძლები იქნებ მშრალზეც დარჩენილიყვნენ. „გაგვიმართლა, რეი ასეთ სამქულიანებს ხშირად არ აცილებს" — უთქვამს ბრენდონს მატჩის შემდეგ.

ერთობ ძნელ მატჩში იმარჯვა „ბოსტონ სელტიქსმა" — შინ „დეტროიტთან" პირველი ნახევრის შემდეგ 13 ქულას აგებდა, მაგრამ მოახერხა მატჩის ბედის შემობრუნება. თავდამსხმელმა ანტუან უოლკერმა იუტელი კარლ მელოუნის მსგავსად დაივიწყა, რომ მისი ადგილი ფარქვეშაა, პერიმეტრზე ამოვიდა და იქიდან იწყო „დეტროიტის" კალათის დაბომბვა, ექვსი სამქულიანი ჩააგდო და ცხრა პასიც მიითვალა. პოლ პირსმა კი საამმატჩო მონაგარის ზუსტად ნახევარი ბოლო მეოთხედში გაახერხა და ეს პერიოდი „სელტიქსს" 33:15 მოაგებინა. „პირველი ნახევრის შემდეგ ბიჭებს ვუთხარი, მოდით, ბოლომდე ვითამაშოთ, ვინ იცის, რა იქნება-მეთქი და რაც გამოვიდა, ხედავთ" — ამბობდა სიხარულით ფრთებშესხმული უოლკერი, რომელიც, მართალია, მატჩის დამთავრებამდე 48 წამით ადრე მეორე ტექნიკურის გამო გააძევეს, მაგრამ ეს აღარაფერს წყვეტდა.

„კარგი მოთამაშეები მთელი მატჩის განმავლობაში არ აცილებენ სროლებს. პირველ ტაიმში კარგად შევბოჭეთ უოლკერი და პირსი, მაგრამ მეორეში მოვეშვით და დავისაჯეთ" — ამბობდა დეტროიტელი მაიკ კარი (12 ქულა).

აღსანიშნავია, რომ „დეტროიტმა" პირველი ტაიმი, ფაქტობრივად, ლიდერისა და ლიგის პირველი ბომბარდირის, ჯერი სტეკჰაუზის გარეშე მოიგო. სტეკჰაუზმა საწყის ექვს წუთში სამი პერსონალური მიიღო და მთელი ტაიმის განმავლობაში აღარ გამოჩენილა მოედანზე, მატჩი კი ოდენ 12 ქულით დასრულა.

საღათას ძილისგან გამოფხიზლდნენ დიადი მაიკლ ჯორდანის შვირდები. „ვაშინგტონ ვიზარდსი" აღარ ხუმრობს, ზედიზედ მეხუთე მეტოქე გააძარა, არადა, „კლივლენდთან" ბოლო მეოთხედში რვა ქულით აგებდა. მადა ჭამაში მოდის და არც ჯორდანის ბიჭები უჩივიან უმადობას, თვალი უფრო შორს უჭირავთ. „ზედიზედ ხუთი გამარჯვება რა საოქმელია, აი, ოცდახუთს რომ მივაღწევთ, მერე ვილაპარაკოთ" — გაიმახის დედაქალაქელი კრის ვიტანი. ჩვენ მხრივ კი ვიტყვით, რომ ზედიზედ 25 და უფრო მეტი მატჩის (33) მოგებით ნბა-ს ისტორიაში მხოლოდ ერთი გუნდი, 70-იანი წლების „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" თუ დაიკვეხნის. „ვაშინგტონი" კი, შეგახსენებთ, სეზონის პირველივე დღეებიდან ატლანტიკის დივიზიონის ცხრილის ფსკერზე ბუდობს.

ირაკლი ფიქრუმვილი

AP ატლანტიდან

ატლანტა — ფინიქსი. ორი ჯეისონი: ფინიქსელმა კიდმა შუა მოედნიდან ესროლა, ატლანტელმა ტერიმ თვალი გააყოლა

ესპანეთი

უმაღური მდგომარეობა

ოლ სტარი

ესპანელები 78:91 უცხოელები

ესპანელები: როდილია (10), ნავარო (6), ხიმენესი (6), ა. რეიესი (21), გუარდია (7); როდრიგესი (1), ლოპესი (10), დე ლა ფუენტე, ვასკესი (8), იტურბე (6), ფ. რეიესი (3), გაბრიელი

უცხოელები: ჯორჯევიჩი (7), პერასოვიჩი (5), კარნიშოვასი (12), სტრიულენსი (6), ალსტონი (10); ჰოპკინსი (11), ბრამლეტი, სკოტი (2), შტომბერგასი (13), მრშიჩი (7), იასიკევიჩუსი (15), სონჯო, ვუდი

მალაგაში დიდი შოუ გაიმართა. ესპანურ „ოლ სტარში" ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქვეყნის ჩემპიონატში მოასპარეზე ესპანელი და უცხოელი კალათბურთელები. ესპანეთის ლიგა ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესია, ამიტომ მისი რჩეულების მატჩმაც დიდი ინტერესი გამოიწვია: მაყურებელმა პირთამდე გაავსო დარბაზი. გარდა ამისა, შეხვედრას მრავალი ევროპელი და ამერიკელი სკაუტ-აგენტიც დაესწრო.

უცხოელებს რამდენიმე მოთამაშე აკლდათ, ძირითადად ის ევროპელები, რომელთა ნაკრებებიც კონტინენტის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მონაწილეობდნენ. მიუხედავად ამისა, შემადგენლობის მხრივ ეს გუნდი უფრო ძლიერი იყო. მატჩი ლაღად დაიწყო. დარბაზს პირველი ოვაცია იუგოსლავიელმა ალექსანდრ ჯორჯევიჩმა მოსწყვიტა: ცარიელ ფართან გასულმა ზურგსუკან ლამაზად მიაწოდა ბურთი ამერიკელ დერიკ ალსტონს, ამან კი მძლავრად ჩატენა. ერთხანს ეფექტური თამაში მიდიოდა, მერე კი მეტოქეებმა ბურთის კარგვას და პერსონალურების მიღებას მოუხშირეს. შეხვედრის სანახაობრივი მხარე, ცოტა არ იყოს, შეელახა. ტაიმი ესპანელებმა მოიგეს (44:40). შესანიშნავად ირჯებოდა მათი ფორვარდი ალფონსო რეიესი: შესვენებამდე 15 ქულას მოუყარა თავი.

უცხოელებმა მესამე მეოთხედში გამოაჩინეს კლანჭები. ალსტონი და ბელგიელი ერიკ სტრიულენსი ფარზე გაბატონდნენ და არაერთი მოხსნა-დაფარება გააკეთეს. ლიტველმა არტურას კარნიშოვასმა დააწიოკა ესპანელთა დაცვა და უცხოელები 61:56 დააწინაურა. მეოთხედი ფრით, 63:63 დასრულდა.

დასკვნით ათწუთეულში კი ჩრდილიდან გამოვიდნენ ლიტველები, საულიუს შტომბერგასი და შარუნას იასიკევიჩუსი. მათ უცხოელთა თამაშის გაძღოლა ითავეს და მალე თავისიანები ათი ქულით დააწინაურეს — 84:74. ლეგიონერები არც მერე მოდუნებულან და ესპანელებს მდგომარეობის გამოსწორება აღარ დაანებეს.

მატჩის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული კი ესპანელს ერგო. ამგვარად მადრიდის „ესტუდიანტესის" ფორვარდი ალფონსო რეიესი შერაცხეს. მან 21 ქულა და 10 მოხსნა გააკეთა.

„ოლ სტარი" სამქულიანების და ჩატენვის კონკურსებიწ გარეშე, აბა, როგორ ჩაივლიდა. სამქულიანების ტურნირში თორმეტი კალათბურთელი მონაწილეობდა. ფავორიტები პირველ წრეშივე გავარდნენ, მათ შორის შარშანდელი ჩემპიონი ალბერტო ანგულო, ბერნი ალვარესი, ლიტველი შარუნას იასიკევიჩუსი და ხორვატი ვლიმირ პერასოვიჩი. ბურთი და კალათი ნაკლებად ცნობილებს დარჩათ. ფინალში მალაგის „უნიკახას" ესპანელი პაკო ვასკესი და „ფუენლაბრადას" ამერიკელი დევიდ ვუდი გავიდნენ. ვუდმა პირველმა დაიწყო და მაყურებლის სტვენა-ღრიალში 25-დან თორმეტი სამქულიანი ჩააგდო. ადგილობრივ ვასკესს კი ყველა ამხნევებდა და მანაც მალე ჩააგდო ცამეტი სამქულიანი, გამარჯვებაში დარწმუნდა და დანარჩენ სროლებს ზერელედ მოეკიდა. საბოლოოდ ვასკესს თხუთმეტი ზუსტი სროლა დაუგროვდა.

ჩატენვის კონკურსში შვიდი კალათბურთელი მონაწილეობდა. მათ მეტად თავშესაქცევი ამბები მოახდინეს. ზოგი ველოსიპედით შემოგრიალდა და იქიდან გადმოხტარმა ჩატენა, ზოგმა ჯერ ფეხით აკენწლა ბურთი და მერე ჩაუშვა კალათში. დევიდ ვუდმა თავის სამი შვილი დააყენა ფარქვეშ და მათ გადააფრინდა... საბოლოოდ გამარჯვება „ბარსელონას" ჰოლანდიელ ცენტრ ფრანსისკო ელსონს დარჩა. მეორე ადგილზე „კანარიასის" ფრანგი ფორვარდი ბენვენიუ კინდოკი გავიდა, მესამეზე — მოყვარული კალათბურთელი ედუარდო სიპი.

„ბარსელონას" ლიტველი უკანახაზელი შარუნას იასიკევიჩუსი (ბურთით) უცხოელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო

სიენა — კინდერი. დევიდ ანდერსენი სიენელთა ფარს უტევს

იტალია

XVIII ტური

კანტუ — ბენეტონი 106:101, სიენა — კინდერი 77:83, აველინო — რეჯანა 89:94, მიულერი — ტრიესტი 119:95, იმოლა — მონტეკატინი 98:101, აეროპორტი — სკავოლინი 82:71, ფორტიტუდო — ვარეზე 94:84, ადეკო — კორდივარი 102:89, რიმინი — სნაიდერო 89:86

კინდერი	18	17	1	1613:1303	35
ფორტიტუდო	18	14	4	1465:1301	32
სკავოლინი	18	13	5	1604:1449	31
აეროპორტი	18	12	6	1484:1454	30
მიულერი	18	11	7	1655:1637	29
ბენეტონი	18	10	8	1519:1439	28
სიენა	18	10	8	1460:1406	28
კორდივარი	18	10	8	1522:1509	28
სნაიდერო	18	9	9	1493:1485	27
აველინო	18	8	10	1484:1511	26
რიმინი	18	8	10	1539:1587	26
მონტეკატინი	18	8	10	1499:1558	26
რეჯანა	18	6	12	1476:1553	24
ვარეზე	18	6	12	1568:1672	24
ადეკო	18	6	12	1477:1606	24
იმოლა	18	6	12	1523:1679	24
ტრიესტი	18	5	13	1463:1569	23
კანტუ	18	3	15	1414:1540	21

TELEBASKET

საფრანგეთი

კონკურენციის ქარი

AFP დიფლომიდან

რობერტას იავტოკასი ფრანგ ტიერი რუპერს გადაეღობა

ამხანაგური მატჩი

საფრანგეთი 78:65 ლიტვა

საფრანგეთი: მიკუ (19), რუპერი (14), სკიარა (10), ევტიმოვი (10), ფრიგუ (8), ბერნარი (7), ფულიანი (6), გოტიე (2), ლორი (2)

ლიტვა: გედრაიტისი (19), ადომაიტისი (10), მასკოლიუნასი (10), მასიიაუსკასი (8), რ. იავტოკასი (8), ვიშნიაუსკასი (5), შიშკაუსკასი (3), იოსისი (2)

საფრანგეთმა შაბათს ზედიზედ მეორე ამხანაგური მატჩი გამართა. სიდნეის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონის მეტოქე ამჯერად სიდნეიშივე ბრინჯაოს მომგები ლიტვა იყო. დიჟონში მასპინძლებმა გაიმარჯვეს და რევანშიც აიღეს ოლიმპიადის ჯგუფურ ეტაპზე განცდილი მარცხისთვის (63:81), საერთოდ კი ფრანგებს ლიტველებთან 1996 წლის შემდეგ გამართული სამივე მატჩი წაეგოთ და ეს უიღბლო სერია მხოლოდ ახლა შეწყვიტეს.

„ლურჯების" ახალმა მწვრთნელმა ალენ ვეისმა შეხვედრის დაწყებამდე გამოაცხადა, რომ მომავალ ევროპის ჩემპიონატზე წასვლა, რომელიც სექტემბერში თურქეთში გაიმართება, განიღდებული არავის აქვს. ჰოდა, იგრძნეს თუ არა კალათბურთელებმა, რომ კონკურენციის ქარმა დაუბერა, გაათმაგებული მონდომებით ითამაშეს და სტუმრები თავიდანვე დაჩაგრეს.

მასპინძლები ყოველი ბურთისთვის გაშმაგებით იბრძოდნენ და მე-4 წუთისთვის უკვე 10:2 დაწინაურდნენ, მიუხედავად იმისა, რომ სასტარტო ხუთეულში ოლიმპიადამოვლილი მხოლოდ ორი კაცი იყო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ლიტვასაც საკმაოდ შესუსტებული და გამოუცდელი შემადგენლობა ჰყავდა, რაც დაკარგული ბურთების რაოდენობაზეც აისახა. ოღონდ ბალტიისპირელთაგან ადომაიტისი და მასკოლიუნასი მაინც გამოირჩნენ და თავისი გუნდის დაწინაურებაც შეძლეს (15:14). პირველი მეოთხედის ბოლოს კი სკიარა აფეთქდა და თავისიანებს დაახლოებით ორწუთიანი მონაკვეთი 6:0 მოაგებინა (თავად 4 ქულა მიითვალა).

ტაიმის ბოლოს ანგარიშში სხვაობა კიდევ უფრო გაიზარდა (35:24). რადგან ლიტველებს უკვე 13 დაკარგული ბურთი დაუგროვდათ. ფრანგთაგან ამ დროს საუკეთესო ტიერი რუპერი იყო, რომელიც ეროვნული ნაკრების მაისურით მხოლოდ მეორე თამაშს ატარებდა. მატჩი შესვენების შემდეგაც იმავე სცენარით წარიმართა. ფარიდან ასხლეტილი ბურთებისთვის ბრძოლაში გამარჯვებულ მასპინძლებს (43:29) საბოლოო წარმატების მოპოვება არ გასჭირვებიათ. მართალია, ლიტვამ 38-ე წუთისთვის ანგარიშში სხვაობა 8 ქულამდე შეამცირა (71:63), მაგრამ დარჩენილ დროში უპირატესობა ახალგაზრდა ფრანგებმა იგდეს ხელთ და გაიხარეს კიდეც. თუმცა „ლურჯების" ძველ გვარდიას საფიქრალი მოემატა, რადგან თუ ნაკრებში პოზიციების დათმობა არ უნდა, კიდევ უფრო უკეთ უნდა გაისარჯოს, ვიდრე აქამდე.

გაგი გურული

თურქეთი

გამოტოვებული მატჩი

ალთაი — ეფესი 75:101

დარუშაფაკა	14	12	2	1140:1033	26
ულქერი	14	12	2	1258:1057	26
ეფესი	14	11	3	1181:1062	25
ტელეკომი	14	10	4	1169:1053	24
ტროი	14	9	5	1216:1164	23
ფენერბაჰჩე	14	9	5	1117:1058	23
ბეშიქთაში	14	8	6	1185:1126	22
ქარშიაქა	14	6	8	1208:1206	20
ქომბასანი	14	6	8	1127:1226	20
მაიდენოსი	14	4	10	1054:1107	18
ბუიუქ კოლეჯი	14	3	11	1119:1189	17
ანტბირლიკი	14	3	11	1114:1354	17
გალათასარაი	14	3	11	1068:1140	17
ალთაი	14	2	12	1046:1228	16

სარბიელი
სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

CROCO

კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ ქუთაისში (პუშკინის ქუჩა№16) გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7), ბათუმში (მემედ აბაშიძის №21; ერას №16) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;

№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;

გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;

ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);

წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;

ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ინგლისი. პრემიერლიგა. 25-ე ტური

31 იანვარი

23.45	004	ჩელსი-ნიუკასლი	1,3	3,4	6,5
23.45	005	ლიდსი-ქოვენთრი	1,4	3,5	7,0
	006	ლიდსი-ქოვენთრი 0:1	2,0	3,2	2,3
23.45	007	სიტი-ლივერპული	3,8	3,2	1,8
23.45	008	საუთჰემპტონი-ლესტერი	2,3	3,0	2,9
23.45	009	სანდერლენდი-მანჩესტერი	3,6	3,1	1,9
23.45	010	ვესტ ჰემი-ტოტენჰემი	1,9	3,1	3,6
24.00	011	ევერტონი-მიდლსბრო	2,0	3,1	3,2

ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩი

31 იანვარი

24.00	012	ქუინზ პარკი-ფულემი	3,6	3,2	1,75

ჰოლანდია. I დივიზიონი. მე-19 ტური

31 იანვარი

23.00	016	ნაიმეგენი-როზენდალი	1,3	3,8	7,5
23.00	017	ვიტესი-ბრედა	1,35	4,0	7,5
	018	ვიტესი-ბრედა 0:1	1,9	3,2	2,6
23.00	019	პსვ-გრონინგენი	1,15	5,6	10,0
	020	პსვ-გრონინგენი 0:1	1,5	3,5	3,5
23.00	021	ჰერენვენი-ფეიენოორდი	4,0	3,3	1,7
23.00	022	სიტარდი-როდა	4,0	3,2	1,75
23.00	023	ტილბურგი-სპარტა	1,35	3,8	7,0
	024	ტილბურგი-სპარტა 0:1	2,0	3,0	2,4

1 თებერვალი

23.00	025	გრააფსხაპი-აიაქსი	4,2	3,3	1,7

შოტლანდია. 26-ე ტური

31 იანვარი

23.30	030	დანდი-დანდი იუნაიტედი	1,6	3,4	4,4
23.45	031	ჰართსი-სენტ მირენი	1,3	4,0	7,5
	032	ჰართსი-სენტ მირენი 0:1	1,9	3,2	2,6
23.45	033	მოზერუელი-დანფერმლაინი	1,8	3,2	3,8
23.45	034	რეინჯერსი-აბერდინი	1,15	5,6	10,0
	035	რეინჯერსი-აბერდინი 0:1	1,5	3,5	3,5
24.00	036	სენტ ჯონსტონი-სელტიკი	5,6	3,4	1,5

ინგლისი. ლიგის თასის 1/2 ფინალი. II მატჩი

31 იანვარი

23.45	037	ბირმინგემი-იფსვიჩი	2,5	3,0	2,5

საფრანგეთი. ლიგის თასის 1/8 ფინალი

31 იანვარი

21.00	039	მონაკო-ბასტია	1,8	3,0	4,0
21.00	040	შატორუ-ბორდო	4,0	3,0	1,8
21.00	041	ნიორი-ლე ავრი	1,9	2,9	4,0
21.00	042	ტრუა-ნანსი	1,5	3,2	6,5
23.45	043	ლანსი-ლიონი	2,3	2,7	3,0

იტალია. თასის 1/2 ფინალი. I მატჩი

1 თებერვალი

23.45	044	უდინეზე-პარმა	2,3	2,9	3,0

ესპანეთი. თასის 1/4 ფინალი. I მატჩები

31 იანვარი

23.45	048	რასინგი-სარაგოსა	2,3	3,0	2,9
24.15	049	სელტა-მალიორკა	2,3	2,9	3,0
24.15	050	გრანადა-ატლეტიკო	2,7	3,0	2,4

პორტუგალია. სუპერთასი. II მატჩი

31 იანვარი

23.30	051	სპორტინგი-პორტუ	2,3	2,9	3,0

საბერძნეთი. თასის 1/8 ფინალი. II მატჩები

31 იანვარი

17.00	052	იანინა-ირაკლისი	3,0	2,9	2,3
19.30	053	იონიკოსი-ქსანთი	1,5	3,4	6,5
20.30	054	პანათინაიკოსი-პანიონიოსი	1,1	6,0	12,0
22.00	055	პაოკ-არისი	1,5	3,4	6,5

თურქეთი. თასის 1/4 ფინალი

31 იანვარი

19.00	056	გენჩლერბირლიგი-ქოჯაელი	1,3	4,0	7,5
21.00	057	ტრაბზონი-გალათასარაი	2,9	3,0	2,3

22.30	058	ისთანბული-ბეშიქთაში	3,8	3,2	1,8
		1 თებერვალი			
22.15	059	ანკარაგიუჯიუ-ფენერბაჰჩე	3,5	3,2	1,85
		კალათბურთი			
		31 იანვარი			
04.00	808	ინდიანა-ბოსტონი	1,3	12,0	2,5
04.00	809	ვაშინგტონი-ორლანდო	2,0	12,0	1,4
04.30	810	ატლანტა-ტორონტო	2,0	12,0	1,4
04.30	811	ნიუ ჯერსი-დეტროიტი	1,5	12,0	1,9
05.00	812	მილუოკი-დენვერი	1,3	12,0	2,8
05.00	813	მინესოტა-ლეიკერსი	1,7	12,0	1,7
05.30	814	სან ანტონიო-კლიპერსი	1,05	12,0	7,5
06.00	815	ფინიქსი-ვანკუვერი	1,05	12,0	7,5
		1 თებერვალი			
04.30	816	კლივლენდი-მინესოტა	1,7	12,0	1,7
05.00	817	დალასი-მაიამი	1,45	12,0	2,1
05.00	818	ნიუ იორკი-ფილადელფია	1,7	12,0	1,7
05.30	819	ჰიუსტონი-კლიპერსი	1,05	12,0	5,0
06.00	820	იუტა-შარლოტი	1,2	12,0	3,5
07.00	821	პორტლენდი-ფინიქსი	1,15	12,0	4,0
07.00	822	სიეტლი-ჩიკაგო	1,05	12,0	5,0
		კალათბურთი. სუპროლიგა			
		31 იანვარი			
21.00	823	ირაკლისი-სკავოლინი	1,7	12,0	1,7
21.00	824	ულქერი-რაანანა	1,05	12,0	7,5
23.30	825	პო ორტეზი-პლანია	1,05	12,0	5,0
23.30	826	ბაიერი-ეფესი	3,5	12,0	1,15
		1 თებერვალი			
21.00	827	ლიეტუვოს რიტასი-ვილერბანი	1,8	12,0	1,6
21.00	828	ცეპტერი-პანათინაიკოსი	2,1	12,0	1,35
23.00	829	მაკაბი-ოსტენდე	1,1	12,0	4,0
23.30	830	ალბა-სპლიტი	1,6	12,0	1,8
23.30	831	კრკა-პარტიზანი	1,9	12,0	1,55
23.35	832	სიენა-ცსკა	1,7	12,0	1,7
		კალათბურთი. ევროლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩები			
		31 იანვარი			
22.30	833	პაოკ-ოლიმპია	1,5	12,0	2,0
23.00	834	პერისტერი-ტაუ	1,3	12,0	2,5
23.15	835	ოლიმპიაკოსი-მიულერი	1,1	12,0	4,0
23.30	836	ფორტიტუდო-ციბონა	1,1	12,0	5,0
23.30	837	რეალი-ბუდუჩნოსტი	1,2	12,0	2,8
23.30	838	კინდერი-ესტუდიანტესი	1,1	12,0	4,0
23.35	839	ბარსელონა-ბენეტონი	1,35	12,0	2,3
		1 თებერვალი			
21.00	840	აეკ-უალგირისი	1,15	12,0	3,5
		ჰოკეი			
		31 იანვარი			
04.00	910	რეინჯერსი-მონრეალი	1,7	4,0	2,7
04.00	911	კაროლინა-ტორონტო	2,1	4,0	2,1
04.00	912	კოლუმბუსი-დეტროიტი	2,7	4,0	1,7
04.30	913	აილენდერსი-ნიუ ჯერსი	2,8	4,0	1,65
04.30	914	პიტსბურგი-ფილადელფია	2,0	4,0	2,2
04.30	915	ფლორიდა-ბუფალო	2,7	4,0	1,7
06.00	916	ედმონტონი-ჩიკაგო	1,8	4,0	2,5
07.30	917	ანაჰაიმი-ნეშვილი	2,2	4,0	2,0
		1 თებერვალი			
04.00	918	ბოსტონი-მონრეალი	1,55	4,0	3,2
04.00	919	ფილადელფია-აილენდერსი	1,3	4,0	5,6
04.00	920	ვაშინგტონი-ტორონტო	2,0	4,0	2,2
04.30	921	ატლანტა-კაროლინა	2,3	4,0	1,9
04.30	922	ტამპა ბეი-ბუფალო	2,7	4,0	1,7
05.00	923	სენტ ლუისი-კოლუმბუსი	1,3	4,0	5,6
06.00	924	კალგარი-ჩიკაგო	2,1	4,0	2,1
06.00	925	ფინიქსი-ანაჰაიმი	1,3	4,0	5,6
06.30	926	სან ხოსე-დალასი	1,9	4,0	2,3
07.00	927	ვანკუვერი-კოლორადო	2,1	4,0	2,1
07.30	928	ლოს ანჯელესი-ნეშვილი	1,8	4,0	2,5

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

მარკ ფოსტერი

ფოსტერმა პატარა წყალი შესვა და დიდს დაეშაქრა

ომახიანად დამთავრდა ცურვაში მსოფლიოს თასის დასკვნითი, ფინალური მეათე ეტაპი. ომახიანად იმიტომ, რომ ორდღიანი ასპარეზობის ბოლოს, რომელსაც პარიზი მასპინძლობდა, ერთბაშად ორი მსოფლიოს რეკორდი დაემხო, რაც ამგვარი შეჯიბრებისთვის ურიგო სულაც არაა.

25-მეტრიანი აუზებისთვის მსოფლიოს უსწრაფესი მოცურავის ტიტული ბრიტანელმა და ჩინელმა მოცურავეებმა მოიპოვეს.

აღსანიშნავია, რომ ალბიონელი მარკ ფოსტერისთვის ასეთი წარმატება მეორეა ბოლო ორი კვირის მანძილზე.

30 წლის ბრიტანელმა, რომელმაც წლეულს პირველად შეფილდში, 17 იანვარს 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მოიპოვა „პატარა წყლის" მსოფლიოს უსწრაფესი მოცურავის სახელი, ამჯერად იმავე მანძილზე შეძლო იგივე, ოღონდ თავისუფალი სტილით ცურვაში, თუმც შეიძლებოდა მსოფლიოს რეკორდსმენობა მანამდეც ეზეიმა ბერლინში. მაშინ სულ რაღაც 0.03 წამით დააგვიანდა.

ახლა ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა.

ფოსტერმა საწადელს პარიზში მიაღწია, როდესაც ამერიკელი ეტონი ირვინის მიერ შარშან 23 მარტს მინეაპოლისში დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (21,21) დაამხო — 21,13.

„პატარა წყლის" მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონისთვის, რომელსაც ამგვარი ტიტულები 50 მეტრზე თავისუფალსა და ბატერფლაით ასპარეზობებში მოუპოვებია და არაერთხელ დავურწმუნებივართ, რომ 25-მეტრიანი აუზის ერთ-ერთი საუკეთესო სპრინტერია, „დიდ წყალშიც" იგივეს დამტკიცება სურს. თუ გავითალისწინებთ, რომ ივლისში ფუკუოკა (იაპონია) „დიდი წყლის" მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს, მაშინ იქ წარმატებისთვის მას თავისებური გარდაქმნა დასჭირდება. სხვაგვარად კი წარმატების იმედი, არ უნდა ჰქონდეს.

ამის თქმის საფუძველს სიდნეის ოლიმპიადაზე მისი წარუმატებელი გამოსვლა გვაძლევს.

- ფუკუოკას მსოფლიოს ჩემპიონატამდე სათასო სეზონის ბოლოსთვის მსოფლიოს რეკორდის დამყარება მსურდა, კარგად მოვემზადე და მიზანს მივაღწიე — თქვა ფოსტერმა, რომელმაც სიდნეის ოლიმპიადაზე მეშვიდე ადგილი დაიკავა.

სხვათა შორის, ფოსტერისთვის, რომელსაც „პატარა წყლის" შვიდი მსოფლიოს რეკორდი დაუმყარებია, პარიზული რეკორდი პირველია, რომელიც მან ამ დისციპლინაში ინგლისის გარეთ შეძლო, მთლიანობაში კი — მეოთხე. აქვე იმასაც გეტყვით, რომ 50 მეტრზე კროლით მსოფლიოს რეკორდების გაუმჯობესებას სათავე 1993 წლის თებერვლიდან დაუდო, ხოლო 1998 წლის დეკემბერში ასეთ წარმატებას ერთ დღეში ორჯერ მიაღწია.

მსოფლიოს თასის მეორე და ბოლო მსოფლიოს რეკორდი კი ჩინელმა ჰუი ქიმ გააუმჯობესა. 16 წლის მოცურავეს 200 მეტრზე ბრასით ასპარეზობისას იაპონელი მასამი ტანაკას მიერ 1999 წლის 2 აპრილს, ჰონგ კონგის „პატარა წყლის" მსოფლიოს პირველობაზე დამყარებული მსოფლიოს საუკეთესო შედეგი (2.20,22) შემოემსხვრა — 2.19,25, თანაც უახლოეს მდევარს, 100 მეტრზე ბრასით მსოფლიოს ჩემპიონ სამხრეთაფრიკელ სარა პოუს მთელი შვიდი წამით აჯობა.

— ეს განსაკუთრებული პაექრობა იყო. მე კარგი წინათგრძნობა მქონდა. მიუხედავად დაღლილობისა მოვახერხე, რომ ბოლო 25 მეტრი არ დამეთმო — გაგვანდო ჰუი ქიმ, რომელიც სხვათა შორის, იმავე ტანაკასთან პაექრობაში დამარცხდა, როდესაც ამ უკანასკნელმა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. ჩინელი მაშინ მესამე ადგილზე გავიდა.

საინტერესოა, რომ ჰუი ქის ეს რეკორდი ბოლო სამი წლის მანძილზე პირველია, რადგან 1994 წლიდან ჩინელი მოცურავე ქალები გარდა იმისა, რომ ცურვის სამყაროში დომინირებდნენ, არაერთ დოპინგ-სკანდალშიც გაერივნენ. ამ ფაქტის გახმაურების შემდეგ კი მათი ქალთა ნაკრები თითქმის მთლიანად გამოეთიშა საერთაშორისო ასპარეზობებს, რასაც, ბუნებრივია, პოზიციების დათმობაც მოჰყვა, თუმცა ყველანაირ სასჯელს აქვს დასასრული. გარდა ამისა, ახალი თაობაც მოდის, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელიც დღევანდელი გმირი გახლავთ.

გიგა გურასაშვილი

მაკალუზე სამი მხრიდან

დედამიწის სიმაღლით მეხუთე მწვერვალ მაკალუზე 2000-2001 წლების მიჯნაზე პოლონელებთან ერთად წარუმატებელი ლაშქრობის მონაწილე თბილისელი გია თორთლაძე, როგორც იქნა, ჰიმალაიდან თბილისში დაბრუნდა. ვრიმშეყრილსა და მაღალსიცხიანს ინტერვიუსთვის შინ ვესტუმრეთ.

— ექსპედიციაში ერთი გრიპიანი მთამსვლელი გვყავდა — გვიამბობს გია თორთლაძე — იმან ექსპედიციის ლამის ყველა წევრს ინფექცია შეჰყარა და დააავადმყოფა. ბოლოს ჯანმრთელნი და უვნებელნი მხოლოდ სამი-ოთხი კაცი გადავრჩით. უფრო სწორად, ასე მეგონა, ახლა კი მეც მაღალი სიცხე მაქვს.

— ექსპედიციის წარუმატებლობა ამით აიხსნება? მაკალუზე, მიუხედავად არაერთი ცდისა, ზამთარში ხომ ჯერ არავინ ასულა?

— დიახ, ასვლა არაერთხელ უცდიათ, მათ შორის სახელგანთქმულ იტალიელ რაინჰოლდ მესნერსაც, ვინც თოთხმეტივე რვაათასიანი პირველმა დალაშქრა. მაკალუზე ზამთარში ასვლა ორჯერ სცადა ჩვენი ექსპედიციის მეთაურმა კშიშტოფ ვიელიცკიმაც, რომელსაც ამგვარ ლაშქრობებში არაერთხელ გამოუჩენია თავი. მიზანს იგი ახლაც მიაღწევდა და მეც ავიდოდი მწვერვალზე, მაგრამ სხვათა ავადმყოფობამ ექსპედიცია გააწბილა. ამიტომ მე და კრისტოფ ლისევსკის ყველაზე ბევრჯერ, რვაჯერ მოგვიხდა 20-25 კილოგრამიანი ბარგით ზემოთ ასვლა. მსგავსი რამ არც მსმენია. ეგ კი არა, დჰაულაგირის ექსპედიციის მსვლელობისას ხუთჯერ გასვლამ რომ მომიწია, ამით ყველა გაკვირვებული იყო.

— პოლონელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის, მიხედვით, წარუმატებლობის მიზეზად ისიც ითქვა, რომ ექსპედიციის საკვებისა და საწვავის მარაგიც ამოეწურა და მთაში ყოფნის ვადაცო.

— მართალი არ არის. იქ დარჩენაც შეგვეძლო და საკვებიც კიდევ ერთ კვირას გვეყოფოდა, საწვავიც საკმაოდ გვქონდა, თუმცა იმისგან დიდი შეღავათი არ იყო. საქმე ის იყო, რომ პოლონელებმა ძალიან კარგი ამერიკული პრიმუსები წამოიღეს. ის პრიმუსები ამერიკული ხარისხის ბენზინზე მშვენივრად მუშაობს, ჩვენ კი ნეპალური, წყალწყალა საწვავი გვქონდა. პრიმუსს გარეთ ქარი აქრობდა, კარავში კი სულ რამდენიმე წუთით მუშაობდა, თან ისე ხრჩოლავდა, რომ ვაქრობდით. თუმცა, რომ არ ჩაგვექრო, თავისით მაინც ქრებოდა. ამიტომ საბაზო ბანაკს ზემოთ უწყლოდ დავრჩით. იქ, იმ სიმაღლეზე კი ორგანიზმი უამრავ სითხეს ითხოვს, ცხელ ჩაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამიტომ ყინულს ვნაყავდით, ბულიონის ბრიკეტს ვურევდით და იმ საზიზღრობას ვლოღნიდით. ასე, ცხადია, შორს ვერ წავიდოდით და ვერც წავედით. ექსპედიციის შეცდომა ის იყო, რომ გაზზე მომუშავე პრიმუსები არ წავიღეთ, რამაც ძალიან გამაკვირვა.



მაკალუს მარცხენა ქედი ფრანგებისაა, მარჯვენა — იაპონელების, კლასიკურიც ასევე ფრანგებისაა, გადაღმაა და არ ჩანს

— პოლონელთა ბოლო ინფორმაციის მიხედვით, გადამწყვეტი ეერიმის საცდელად ვიელიცკი და ზალუსკი გავიდნენ, მეორე ინფორმაციის თანახმად, თქვენ და ლისევსკი, მესამე წყარო კი სხვა სამუელს ასახელებდა. ერთი სიტყვით, დავიბენით...

— ეს ასვლის მცდელობად პირობითად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ზემოთ არც საკმარისი რაოდენობის თოკები გვქონდა აზიდული, არც ჰალოები და არც სხვა რამ. ბოლოს, 12 იანვარს მე და ლისევსკი გავედით, მაგრამ მესამე ბანაკში ალარც ავსულვართ, რადგან კარავი ქარს მოეგლიჯა, გადმოვგდო და მას გზად მიმავალნი გადავეყარეთ. არადა, ის ერთადერთი კარგი, გამძლე კარავი იყო, რუსული წარმოებისა, სხვები კი ღმერთს არ უქნია. ამიტომ პირი ვიბრუნეთ, მეორე ბანაკისკენ, იქ კი ექსპედიციის მეთაურმა გვაცნობა, მორჩა, ექსპედიციის გაგრძელება უაზრობააო. თანაც 14 იანვარს ისეთი ძლიერი ქარი ამოვარდა, საჭურველი ვეღარც ჩამოვხიდეთ.

— თქვენ თავდაპირველად დასავლეთის ქედიდან ასვლა გქონდათ დაგეგმილი, არადა, ის მარშრუტი, რომელიც 1971 წელს ფრანგებმა იანიკ სენიორმა და რობერ პარაგომ გაიარეს, რვაათასიანებზე ურთულეს გზად აღიიარეს. ის მარშრუტი არათუ ზამთარში, ზაფხულშიც კი დღესაც ერთ-ერთ ურთულესად ითვლება. მაინც, რამ გაფიქრებინათ იმ გზით ბედის ცდა?

— იმ გზით ასვლა იმთავითვე გადაწყვეტილი იყო. რომ არ გვეცადა, არ შეიძლებოდა, რადგან პოლონელი მთამსვლელები, უპირველეს ყოვლისა, სწორედ იმ მარშრუტის გამო დააფინანსეს. აქვე ვიტყვი, რომ ჩემი მთავარი სპონსორი იყო მინისა და მინერალური წყლების კომპანია, სპონსორები: „აეროფლოტი", მიკროსაფინანსო ბანკი, ფეროშენადნობთა ქარხანა და ბატონი ზურაბ წერეთელი.

— თქვენ როგორ მოხვდით პოლონელთა ექსპედიციაში?

— ექსპედიციას საერთაშორისო ერქვა, რადგან პირველად მასში ჩემს გარდა მიწვეული იყო თითო ამერიკელი და იტალიელი მთამსვლელი, მაგრამ ბოლო მომენტში ისინი გამოგვაკლდნენ.

— დავუბრუნდეთ ფრანგების მარშრუტზე თქვენი ცდის ამბავს.

— ბევრიც არაფერია საქთმელი, რადგან იქ სბაზოს გარდა მხოლოდ ერთი ბანაკი (6000 მეტრზე) დავდგით. როგორც „სარბიელი" იუწყებოდა, მიუხედავად შუა ზამთრისა, მწვერვალის ფერდობებზე, ჩვენდა გასაკვირად, ძალზე ცოტა თოვლი იყო, ზოგან კ სულაც არ იყო.

პირველი ბანაკის ზემოთ, ფერდობზე გრძელი, უთოვლო კულუარი გვქონდა ასასვლელი. უთოვლო გზა ჩვენი მოკავშირე კი არა, მოწინააღმდეგე აღმოჩნდა. კულუარიდან ჩემოდნის ხელა ქვები გრუხუნით ცვიოდა, ირგვლივ კი ისეთი მტვრის კორიანტელი იდგა, აფრიკაში, ქვიშის უდაბნოში, ძლიერ ქარში რომ იცის. ამიტომ იქ ასვლა ძალზე სახიფათო იყო და გადავინაცვლეთ მაკალუს სამხრეთის ქედზე, რომელიც პირველად 1971 წელს იაპონელებმა გაიარეს. ეს მარშრუტი ტექნიკური სირთულით ფრანგებისას ჩამორჩება, მაგრამ იქ ორჯერ გრძელი ქედი გვედო. 6800 მეტრის სიმაღლეზე მეორე ბანაკი დავდგით, 7000 მეტრამდე სამმა კაცმა თოკებიც დავკიდეთ, მაგრამ 6 კაცი ავად გაგვიხდა. საბაზოში ყველა კარვიდან საშინელი ხველა ისმოდა, ჯანმრთელად დარჩენილნი კი იმ უშველებელ ქედზე ვერას გავხდებოდით. ამიტომ იქიდანაც ავიყარენით და ბოლოს კლასიკურ მარშრუტს მივადექით. იმთავითვე რომ ამ გზით გვეცადა ასვლა, ალბათ მიზანს მივაღწევდით.

სხვათა შორის, იაპონელებმა იმ ქედზე შერპთა დიდი ჯგუფის დახმარებითა და ჟანგბადის ბალონების გამოყენებით 450 მეტრის სიგრძეზე დაკიდეს თოკები. ჩვენი ექსპედიცია კი უჟანგბადოდ და უშერპებოდ მუშაობდა. ოთხ-ხუთ კაცს იქ ასვლა რომ გვეცადა, თითოს 40 კილოგრამამდე ბარგი უნდა გვეზიდა, რაც შეუძლებელი იყო.

— კვლავ თუ გეპატიჟებიან პოლონელები?

— მათ, როგორც თქვენი გაზეთიც იუწყებოდა, დიდი მიზანი აქვთ. ისინი ჰიმალაიზე აღმართული შვიდი რვაათასიანიდან ექვსზე პირველამსვლელები არიან და სურთ საერთოდ არც ერთი ასეთი მწვერვალი ზამთარში დაულაშქრავი არ დატოვონ. მათი უახლოესი ასეთი მიზანი K-2, იგივე ჩოგორი გახლავთ. იმ ექსპედიციაში, სავარაუდოდ, ოთხი პოლონელი მთამსვლელი იქნება, მეც მიმიწვიეს და კიდევ რამდენიმე რუსი ალპინისტის შერჩევა მე მომანდეს. მიწვეული ვარ სხვა რვაათასიანებზე საგაზაფხულოსაშემოდგომო ექსპედიციებშიც. ამას გარდა, მიმიწვიეს ტიან-შანზე და ალპებზე ძალზე რთულ ზამთრის ტექნიკურ ასვლებშიც და მეც ყველგან ვაპირებ გამგზავრებას.

ავთანდილ გურასაშვილი

გიორგი კანდელაკი

პირველი ნოკაუტი ახალ საუკუნეში

ᲩᲘᲜ ᲝᲑᲣᲙᲐᲛᲔᲗ, 1999 წლის აფრიკის ჩემპიონს, პროფესიულ რინგზე თვრამეტჯერ უჩხუბია, თექვსმეტჯერ გაუმარჯვია და აქედან თერთმეტჯერ ნოკაუტით, მეცხრამეტედ იგი რინგზე ქართველს, ვარიანელ მსოფლიოს ჩემპიონს გიორგი კანდელაკს შეეყარა და ამჯერად თავად დამარცხდა ნოკაუტით.

ეს ამბავი გუშინწინ, გვიან ღამით ინგლისის დედაქალაქ ლონდონში მოხდა. ჩვენებურს ბრძოლის დაწყებისთანავე გამოუღია ხელი და ყველასთვის ცხადი გამხდარა, რომ კანდელაკი მორიგ გამარჯვებას იზეიმებდა.

მეოთხე რაუნდში გიორგიმ, ზემოთაც გითხარით, მეტოქეს ნოკაუტი აწვინია და თავის პროფესიულ კარიერას კვლავაც დაუმარცხებლად განაგრძობს.

რუსებმა საქმე მოითავეს

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲛᲐ ქალებმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მეორე წრე დაიწყეს. აქამდე უდანაკარგოდ მოთამაშე დანიის ჩემპიონს მშვენიერი შანსი ჰქონდა, ვადამდე მოეპოვებინა მეოთხედფინალის საგზური. საამისოდ „ვიბორგს“ გასვლით მატჩში ფრეც აძლევდა ხელს, მაგრამ დაძაბულ ბრძოლაში „ოლჩიმთან“ მარცხის გამო მომდევნო ეტაპზე გასვლა დროებით გადაიდო. ვიბორგელები მომავალ უქმეებზე უქულო აუტსაიდერ „არტასს“ უმასპინძლებენ და მიზნის მიღწევაც, ალბათ, არ გაუჭირდებათ.

საერთოდ, ეს ტური ყველაზე დაძაბული გამოდგა — რვა თამაშიდან ერთი ფრედ დასრულდა, კიდევ ოთხ შეხვედრაში კი გამარჯვებული მხოლოდ ერთგოლიან სხვაობას დასჯერდა.

სადღეისოდ საუკეთესო მაჩვენებელი რუსეთის ხუთგზის ჩემპიონ „აკვას“ აქვს — ვოლგოგრადელებმა ოთხ ტურში მხოლოდ ერთი ქულა დაკარგეს. მორიგ მატჩში მათ იუგოსლავიის „ბუდუჩნოსტს“ კი სძლიეს, მაგრამ დიდი წვალების ფასად. პირველი ტაიმის შედეგი ბურთით (16:9) მოგების შემდეგ რუსებმა თამაშის ბოლოს ისე გაფლანგეს უზარმაზარი უპირატესობა, რომ სტუმრებს არა მარტო ანგარიშის გათანაბრების (21:21), არამედ დაწინაურების საშუალებაც მისცეს, თუმცა საფინალო სასტვენამდე ნახევარი წუთით ადრე პენალტით მაინც გამოგლიჯეს ხელიდან გამარჯვება. „აკვა“ ერთადერთი გუნდია, რომელიც ვადამდე გავიდა მეოთხედფინალში.

აღსანიშნავია, რომ უნგრეთის ქალაქ გიორში ადგილობრივი „გრაბოპლასტისა“ და სლოვენიის „კრიმის“ შეხვედრაზე ევროპის ხელბურთის ფედერაციის მიერ დელეგატად მივლინებული იყო საქართველოს ეროვნული ასოციაციის გენერალური მდივანი თამაზ თევზაძე. მის გარდა, ამავე მისიის შესრულება უხდება კიდევ ორ ჩვენს სპეციალისტს — საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს მერად მეტრეველსა და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრ თამაზ ჩხარტიშვილს.

ᲖᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ

A ჯგუფი: „აკვა“ (რუსეთი) — „ბუდუჩნოსტი“ (იუგოსლავია) 25:24; „ფრედერიკსბერგი“ (დანია) — „ჰიპო“ (ავსტრია) 25:26.

აკვა	3	1	0	106:79	7
ბუდუჩნოსტი	1	2	1	106:99	4
ჰიპო	2	0	2	106:113	4
ფრედერიკსბერგი	0	1	3	87:114	1

B ჯგუფი: „ფერობუსი (ესპანეთი) — „გისენი“ (გერმანია) 29:28; „ბაეკელაგეტსი“ (ნორვეგია) — „ჰერაცი“ (უნგრეთი) 23:21

ფერობუსი	2	1	1	112:110	5
ბაეკელაგეტსი	2	1	1	101:105	5
ჰერაცი	2	0	0	111:99	4
გისენი	1	0	3	106:116	2

C ჯგუფი: „არტასი“ (საბერძნეთი) — „ლარვიკი“ (ნორვეგია) 22:30; „ოლჩიმი“ (რუმინეთი) — „ვიბორგი“ (დანია) 25:24

ლარვიკი	3	0	1	105:89	6
ვიბორგი	3	0	1	109:100	6
ოლჩიმი	2	0	2	104:99	4
არტასი	0	0	4	90:120	0

D ჯგუფი: „გრაბოპლასტი“ (უნგრეთი) — „კრიმი“(სლოვენია) 21:21; „სპარტაკი“ (უკრაინა) — „მილარი“ (ესპანეთი) 30:25

კრიმი	2	2	0	104:88	6
გრაბოპლასტი	1	2	1	103:100	4
მილარი	2	0	2	101:113	4
სპარტაკი	1	0	3	108:115	2

რეინჯერსის მეკარე მაიკ რიხტერმა ატლანტელი ირეკი შლეგრის ეს დარტყმაც გაუშვა

ყოვლისშემძლე

ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ — ᲢᲐᲛᲞᲐ 5:2

2:0 1:2 2:0

1:0 მალიკი 8'39(3); 2:0 ონილი 12'81(24); 2:1 მოდინი 22'05(23); 2:2 მოდინი 31'43(24); 3:2 ონილი 33'18(25); 4:2 უილისი 44'15(11); 5:2 ფულინა 58'32(17)

ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ — ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ 2:1

1:0 0:1 1:0

1:0 ჩებატურკინი 4'57(1); 1:1 ჯონსონი 23'59(4); 2:1 ისტვუდი 44'47(6)

ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ — ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ 2:7

0:3 0:2 2:2

0:1 ოდეტი 0'56(24); 0:2 კაბერლე 8'55(4); 0:3 ვასილიევსი 15'26(2); 0:4 დონოვანი 35'26(8); 0:5 ტეიმერი 89'17(4); 1:5 ნედვედი 40'34(14); 1:6 შლეგრი 44'18(6); 1:7 ფერარო 47'15(19); 2:7 გუსაროვი 48'41(1)

ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ — ᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ 2:5

0:1 1:1 1:3

0:1 ჩიზარი 14'41(10); 1:1 ალატალო 24'08(6); 1:2 იტონი 25'59(1); 1:3 ტიმონენი 41'17(10); 1:4 ჩელბერგი 49'09(7); 2:4 ბრირი 56'37(8); 2:5 ბერეზოვსკი 56'56(6)

უმდიდრესმა და ყოვლისშემძლე რეინჯერსმა კვლავ გააწბილა ქომაგები. მართალია, დრო ჯერ კიდევ საკმაოდ აქვს, მაგრამ ამგვარი უნიათო თამაშით ფონს ვერ გავა.

არადა, ჯერ კიდევ ათიოდე დღის წინ გულშემატკივრები იმედიანად იყვნენ. გუნდმა თითქოს დაძლია კრიზისი, ზედიზედ 5 მატჩი ჩაატარა წაუგებლად, მაგრამ... ამას ოთხი მარცხი მოჰყვა. ყველაფერი კი წინა ოთხშაბათს კაროლინასთან მატჩში დაიწყო. „ქარიშხლები“ ხომ რეინჯერსის მთავარი კონკურენტები არიან პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლაში და მათთან დამარცხებამ მთლად თავზა აუბნია ნიუიორკელებს — რეინჯერსი შინ თავის მოსისხლე მტერ, აილენდერსთან დერბიში დარჩა პირშიჩალაგამოვლებული, მერე შეტევით ხაზში სერიოზული პრობლემების მქონე ტორონტოსთან დაიჩოქა, ორშაბათს კი უკანასკნელი სასიკვდილო დარტყმა მიიღო. 13 შეხვედრის განმავლობაში არ უზიზღია ატლანტას გამარჯვება, თანაც ბოლოს, 2000 წლის 28 დეკემბერს, სწორედ ნიუიორკელებს გაუმკლავდა და აი, „თრეშერებმა“ კვლავ გაილაღეს. ნიუიორკელები თავიდანვე ყურებჩამყრილები გავიდნენ მოედანზე. უკვე 33-ე წამზე ბრეტ ბრაუნმა უაზროდ იუხეშა და სტუმრებმაც უმალ დასაჯეს — კლუბის მეგოლე დონალდ ოდეტი გამოირჩა. შემდეგ მარკ მესიემ შესცოდა.

მისი გაძევების შემდეგ ატლანტამ მეორედ გაიტანა. თანაც მცველმა ფრანტიშეკ კაბერლემ 4 წამში გამოიყენა რიცხვმრავლობა. ამის შემდეგ ნიუიორკელებმა სულ დაკარგეს სიცოცხლის ნიშანწყალი, სტუმრებმა კი მანამ არ მოისვენეს, სანამ ანგარიში სამარცხვინო არ გახადეს. „ზოგჯერ ღრმად უნდა ჩავარდე, რათა მომჯობინდე“ — იხტიბარს არ იტეხს მესიე, თუმც ალბათ თავადაც არ სჯერა თავისი სიტყვების.

ტორონტოს კი გოლების გატანა პრობლემად ექცა. ბოლო 6 თამაშში ორზე მეტი შიბა მხოლოდ ერთხელ, საბრალო რეინჯერსთან შეავდეს და რომ არა მეკარე კერტის ჯოზეფი, გაცილებით მეტ ქულას დაკარგავდნენ. ამჯერადაც ვერ გაუმკლავდა იგი ძალგამოცლილ სენტ ლუისს. „ბლუზმენებმა“ უქმეებზე კიდევ ერთი ოსლტარელი მცველი, ელ მაკინისი დაკარგეს, რომელმაც სან ხოსესთან თვალის ტრავმა მიიღო, მაგრამ მაინც სძლიეს ტორონტოს, თანაც გადამწყვეტი შიბა მაიკ ისტვუდმა უმცირესობაში შეაგდო.

ნეშვილმა, მას შემდეგ, რაც კოლორადოსთან თავი შეირცხვინა, სავსებით გამოისყიდა დანაშაული. „მტაცებლებმა“ ერთობ მობილიზებულად დაიწყეს მატჩი „ფინიქსთან“ და ამ მოწადინებამ ნაყოფიც გამოიღო. მოგებას კი ახალბედა სლოვაკმა მარიან ჩიზარმა ჩაუყარა საფუძველი, რომელიც ბოლოხანს ხშირად გამოირჩევა.

ხარობს კაროლინის მფლობელი პიტერ კარმანოსი. გუნდმა წლეულს საგრძნობლად მოუმატა, რამაც საშინაო მატჩებზე დასწრებაზეც იმოქმედა. ორი წლის წინ 6-7 ათასი მაყურებლის წინაშე პატარა ქალაქ როლიში მოსაპარეზე გუნდმა წლეულს დაპირებული ზღვარი — 13 000 გადალახა და „სელაუთი“ (ანუ ბოლომდე შევსებული ტრიბუნები) უკვე ნორმად იქცა. მართალია, აუტსაიდერ ტამპასთან შეხვედრაზე სულ 8 500 კაცი მივიდა, მაგრამ „ქარიშხლებმა“ ეს აინუნშიც არ ჩაუგდეს და ორი ქულა მითვალეს.

ᲡᲐᲛᲔᲚ ᲦᲐᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ᲡᲐᲜᲢ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ (ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ)

კავანიუმ ავსტრიელებს თოვლი მიაყარა

რეგინა კავანიუ

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲣᲚ სანტ ანტონში სამთმოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. მედლების პირველი კომპლექტი ქალთა სუპერგიგანტში გათამაშდა და რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, მათგან მასპინძლებს ერთიც არ ერგოთ.

გერტრუდა გაბლის სახელობის მზიან ტრასაზე საუკეთესო დრო შესანიშნავ ფორმაში მყოფმა ფრანგმა ვეტერანმა რეგინა კავანიუმ უჩვენა. 30 წლის მოთხილამურის შედეგი 1 წუთი და 23,44 წამია.

„ამ სახიფათო ტრასაზე ფრთხილად უნდა ისრიალო, მე კი ერთ-ორ ადგილას გავრისკე და გამიმართლა. რომ გითხრათ, გაოცებული ვარ-მეთქი, ტყუილი იქნება, წლეულს სუპერგიგანტში კარგად ვასპარეზობ და მედლის მოპოვებას ველოდი კიდეც — აღნიშნა ფრანგმა, რომელმაც მსოფლიოს თასზე ამ დისციპლინაში ზედიზედ სამჯერ იმარჯვა — ყველაზე მეტად გოეჩლის მეშინოდა, მაგრამ ეტყობა, შინ მეტისმეტ ზეწოლას გრძნობდა, მისთვის უჩვეულო შეცდომაც ამით აიხსნება“.

შარაშანდელი მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლის გამარჯვებულ რენატა გოეჩლის მართლაც დიდი შანსი ჰქონდა, ფრანგის ოქრო ვერცხლად ექცია. მეორე საშუალედო ნიშნულზე ავსტრიელი ნახევარი წამით უსწრებდა კავანიუს, მაგრამ წონასწორობა დაკარგა, დამცავ ბარიერს შეასკდა, მერე მალაყი გააკეთა და იქვე გაჭიმულ ბალეში გაეხვია.

25 წლის გოეჩლი საკუთარ თავზე ძალიან გაბრაზდა, მაგრამ სწრაფად მიხვდა, სერიოზულ ტრავმას სასწაულით რომ გადაურჩა და წუწუნი აღარ დაუწყია: „არაფერი მიშავს, ზედმეტად გადავიხარე, ფეხსაცმელი თოვლს შევახე და იმიტომაც დავიმტვერი. ასეთი რამ ნებისმიერს შეიძლება დაემართოს, მარცხი უკვე მოვინელე. იმედია, სხვა დისციპლინებში მაინც გამოვიჩენ თავს“.

ავსტრიელებმა წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე კოლორადოში სუპერგიგანტსა და სწრაფდაშვებაში ყველა მედალი დაისაკუთრეს, ამჯერად კი თანამემამულეების თვალწინ თავი შეირცხვინეს: მათგან საუკეთესო ალექსანდრა მაიზნიცერი მხოლოდ მერვე იყო.

მეორე ადგილზე იტალიელი იზოლდე კოსტნერი გავიდა, რომელიც ჩემპიონს ხუთი მეასედი წამით ჩამორჩა. საერთოდაც, მოთხილამურეები მეტად მჭიდროდ დალაგდნენ — კიდევ ცხრა კოლეგა კავანიუსგან ნახევარ წამში ჩაეტია.

ბრინჯაოს მედალი შედეგით — 1:23,52 გერმანელ ჰილდე გერგს ხვდა წილად, რომელმაც ეს-ესაა მოიშუშა მძიმე ტრავმა: „კარგი იქნებოდა, ეს ჩემპიონატი სამი-ოთხი კვირით გვიან რომ ჩატარებულიყო, მაშინ ბოლომდე გამოჯანმრთელებას მოვასწრებდი. ისე, არც მესამე ადგილს დაეწუნება რამე, ჩემთვის, ჩვენი გუნდისთვის და მთელი გერმანელი ხალხისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია“.

ახლა კი დროა, რეგინა კავანიუ ცოტა ახლოს გაგაცნოთ. წინა მსოფლიოს ჩემპიონატიდან ის მორიგი მძიმე ტრავმის მიღების შემდეგ სასწრაფო დახმარების მანქანით წაიყვანეს. „კოლორადოში ძველი ტრავმა გავიუარესე და ერთხანს სპორტიდან წასვლაზეც ვფიქრობდი. ვერ შევძელი, რადგან თხილამურობა ძალიან მიყვარს. დღეს ბედნიერი ვარ, რომ ასე მოვიქეცი“.

კავანიუს 12-წლიანი კარიერის მანძილზე უამრავი მძიმე ტრავმა და ოპერაცია გადაუტანია, დიდ წარმატებებსაც ბოლო ხანებში მიაღწია: „მუხლი, ზურგი, მხარი, მგონი სხეულის ნაწილი არ დამრჩა, არ მეტკინოს. ყოველი ინციდენტის შემდეგ ყავარჯნებიდან, სულ თავიდან მიწევდა ყველაფრის დაწყება. დიდი სიმამაცე გამოვიჩინე, რომ არ დავნებდი. ძალა და სიმხნევე საყვარელმა პროფესიამ შემმატა“.

ფრანგი ახლა სწრაფდაშვების მოგებასაც უმიზნებს: „სუპერგიგანტში ცოტა შებორკილად ვგრძნობდი თავს, რადგან ყველა ფავორიტად მთვლიდა. რაკი ოქრო მოვიპოვე, ახლა სწრაფდაშვებაში თავისუფლად ვისროლიან. პატარაობაში სწორედ მისი მოგება მინდოდა ყველაზე მეტად“.

ბოლოს კაცების სუპერგიგანტზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. წინა ჩემპიონატის ოქროსმედალისან ნორვეგიელ ლასე კიუსს თურმე გრიპი და მუცლის გვრემა ერთად აწუხებს და თავისი ტიტულის დაცვას იქნებ არც შეეცადოს.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲮᲐᲠᲯᲘᲐᲜᲘ

ქალები. სუპერგიგანტი

1. რეგინა კავანიუ — 1:23,44
2. იზოლდე კოსტნერი — 1:23,49
3. ჰილდე გერგი — 1:23,52
4. მეგან გერეტი (აშშ) — 1:23,59
5. კაროლ მონტიე (საფრანგეთი) — 1:23,72

კვირის მოთამაშე



ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲜᲐᲑᲝᲙᲝᲕᲘ (ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ)

ᲐᲮᲚᲐ უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ 1995 წლის შემდეგ არც ერთ მეკარეს არ ჰქონია ასეთი საუცხოო დებიუტი. მაშინ, ექვსი წლის წინ, ვაშინგტონელმა ჯიმ კერიმ ვარსკვლავივით გაიბრწყინა, მაგრამ უცებ ჩაქრა და სადღაც ქვედა ლიგებში ჩაიკარგა. იმედია, წლევანდელ გმირს ასეთივე ბედი არ ეწევა. ყოველ შემთხვევაში, მისი ლამაზი და რაც მთავარია, სტაბილური თამაში ამის საფუძველს იძლევა. აგერ უკვე ოთხი თვეა, ევგენი ნაბოკოვს ჩავარდნა არ ჰქონია, რის წყალობითაც მან სტივ შილდსი, სან ხოსეს შარშანდელი პირველი ნომერი, სათადარიგო მეკარედ აქცია. ახლაც საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ყაზახი გოლკიპერი ზედიზედ მესამედ გახდება თვის საუკეთესო ახალბედა. გასულ კვირაში ხომ მას არა მარტო დებიუტანტებში, არამედ მთელ ლიგაში არ მოეძებნებოდა ბადალი: სამ ჩატარებულ მატჩში მხოლოდ ოთხი შიბა გაუშვა, კონკურენტი დალასის 2:1 ძლევაც მთლიანად მისი დამსახურებაა. ამჟამად ნაბოკოვი 25 მოგებით მხოლოდ პატრიკ რუას ჩამორჩება და 1989 წლის შემდეგ პირველი დებიუტანტი მეკარეა, ვინაც „ოლ სტარში“ მონაწილეობის საპატიო უფლება მოიპოვა. და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამას წინათ მან რუსეთის ნაკრებში თამაშის სურვილიც გამოთქვა, 2002 წლის ოლიმპიადაზე რუსთა კარს იოლად ვერავინ დალაშქრავს.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲔᲥᲕᲡᲔᲣᲚᲘ. 22-28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲜᲐᲑᲝᲙᲝᲕᲘ (ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ, 2); ᲔᲠᲘᲙ ᲓᲔᲨᲐᲠᲓᲔᲜᲘ (ფილადელფია, 1) — ᲒᲔᲠᲘ ᲡᲣᲢᲔᲠᲘ (ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ, 1); ᲞᲐᲕᲔᲚ ᲑᲣᲠᲔ (ფლორიდა, 1) — ᲡᲘᲛᲝᲜ ᲒᲐᲜᲘᲔ (ფილადელფია, 1) — ᲞᲔᲢᲔᲠ ᲑᲝᲜᲓᲠᲐ (ვაშინგტონი, 2)

REUTERS ტოკიოდან

დავიწყა

გუშინ იყო, რომ ავსტრალიის ღია პირველობა დასრულდა. იქ წაგებულნი კი უკვე ტოკიოში, „პან პასიფიკის“ ტურნირში სათამაშოდ ემზადებიან. ლინდსი დევენპორტი, აი სუგიამა და ანა კურნიკოვა პრესკონფერენციაზე სხედან, დევენპორტი კი ღიმილით ამბობს: „დიდი სლემის წაგებებს იოლად ვივიწყებ“.

REUTERS მარსელიდან

ტორონტოსაც უნდა

2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის ჩინეთის დედაქალაქი პეკინი დიდად მოწადინებულია და ცდასაც არ აკლებს, რომ თავისი შესაძლებლობები დაანახოს ოლიმპიზმის მამებს. მაგრამ არანაკლებ მოწადინებულია კანადური ტორონტოც, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მოხდენილი და მდიდარი ქალაქი. ტორონტოელ არქიტექტორებს სწორედ ამ დღეებში წარუდგენიათ ქალაქის ოლიმპიური ნაწილის პირველადი პერსპექტიული გეგმა. რა თქმა უნდა, ამ გეგმის განხორციელება იმ შემთხვევაში დაიწყება, თუკი ტორონტო ოლიმპიადის მასპინძლად გამოცხადდება.

დამზადებულია მარსელში

ზინედინ ზიდანი მშობლიურ ქალაქ მარსელში იოლად იპოვნის საკუთარ თავს. იქ სახლების კედლებიდან მრავალი ზიდანი იმზირება. წარწერა „დამზადებულია მარსელში“ კი ქალაქის სიამაყეს თუ გამოხატავს.

პუტინს გახარებია

რუსთა პრეზიდენტ პუტინს იმათ პირობაზე უდიდესი საფეხბურთო კლუბი მოსკოვის „სპარტაკი“ მიუღია კრემლში. პუტინს დიდი პოლიტიკური აზრი დაუნახავს იმაში, რომ „სპარტაკს“ თანამეგობრობის თასი მოუგია. „სპარტაკის“ თავკაც ოლეგ რომანცევს საკლუბო მაისურა უჩუქებია პრეზიდენტისთვის, ყველაფერი კი ჯგუფური ფოტოთი დასრულებულა.

REUTERS მოსკოვიდან

REUTERS მოსკოვიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რაჭიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კ[illegible]ა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვან[illegible]ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბ[illegible]ბაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ჭუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, შაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge